619
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ივნისი
№ 6 1976 წ.



დნეპროძერჟინსკი. მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სამშობლოში მისი ბრინჯაოს ბიუსტის გახსნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის მებრძოლს

დნეპროძერჟინსკი... „ფოლადის ქალაქი“... აქ, ყოფილ მუშათა დაბა კამენსკოეში, დაიბადა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. აქ, ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა მისი პაპა, მამა, ძმა.

ლ. ი. ბრეჟნევს მხურვალედ უყვარს თავისი ბავშვობის, სიყრმისა და ახალგაზრდობის ქალაქი. მუშის შვილი მეტალურგიულ ქარხანაში ზეინკლად იწყებს მუშაობას. აქ მიიღეს ლ. ი. ბრეჟნევი კომუნისტურ პარტიაში. ამ ქალაქში ხელმძღვანელობდა იგი მუშათა ფაკულტეტს და ერთდროულად სწავლობდა დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ინსტიტუტში

ლ. ი. ბრეჟნევის შრომითი ბიოგრაფია ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც მშობლიურ ქალაქთან არის დაკავშირებული. ამ ქალაქიდან დაიწყო ლ. ი. ბრეჟნევის დიდი და მგზნებარე ცხოვრება ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მუშაობა მჭიდროდ არის აგრეთვე დაკავშირებული ჩვენს გმირ შეიარაღებულ ძალებთან; პარტიის ერთგული შვილი ლ. ი. ბრეჟნევი დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მოქმედ არმიაშია.

მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსობიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნობამდე, საბჭოთა კავშირის მარშლობამდე — ასეთი სახელოვანი გზა განვლო მეომარმა კომუნისტმა, ხელმძღვანელმა და მხედართმთავარმა, მშვიდობისა და სოციალიზმის სტრატეგიის მესაჭემ.

რვა მაისს დნეპროძერჟინსკში ღირსშესანიშნავი და დაუვიწყარი მოვლენა მოხდა — დიდი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად გაიხსნა საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტი.

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

**საბჭოთა კავშირის მარშლის** მხედრული წოდება მიენიჭოს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 7 მაისი

სკკპ XXV ყრილობის დელეგატი მოგვითხრობს

# მოსავალი-სარეკორდო, ხარისხი-უმაღლესი!



13033

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ახალი საგმირო საქმეებისათვის ალაფრთოვანა ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მშრომელები. თითოეული მათგანს ახლა თავის უპირველეს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია, თავდადებული შრომით შეასხას ფრთები ყრილობის გადაწყვეტილებებს, საფუძველი ჩაუყაროს მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებას.

ამ საერთო-სახალხო ლაშქრობაში ქართველ მეჩაიეებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი. საქართველო საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტს იძლევა. ეს საამაყო მაჩვენებელი მოპოვებულია ქართველ სელექციონერთა მიერ გამოყვანილი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვით, კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ გამოყენებით, ჩვენი მეჩაიეების მონდომებითა და თავდადებული შრომით. სწორედ ამ მონდომებამ და თავდადებულმა შრომამ განაპირობა მეცხრე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს არნახული წარმატება — ქართული მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე შარშან „მწვანე ოქროს" სარეკორდო მოსავალი მივიღეთ, მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 334 ათასი ტონა ნედლეული.

ალბათ, თავის ქებაში არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ ქართველმა მეჩაიეებმა ღირსეული წვლილი შევიტანეთ ჩვენი რესპუბლიკის საერთო წარმატებაში. როგორც ცნობილია, სწორედ ამ წარმატებისათვის დაჯილდოვდა საქართველო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით.

ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი კიდევ უფრო დიდ ამოცანებს გვისახავს, კიდევ უფრო თავდადებული შრომისა და ახალი მიჯნების დასაპყრობად გვიხმობს. ახლა მთელი ყურადღება უნდა დავუთმოთ არა მარტო ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის — მეჩაიეობის ინტენსიურ განვითარებას, ახალი ფართობების ათვისებას და მოსავლიანობის გადიდებას, არამედ ხარისხის ამაღლებასაც. ჩვენი ამოცანა ასეთია: მოსავალი — სარეკორდო, ხარისხი — უმაღლესი!

რა დასამალია, რომ ქართულმა ჩაიმ უკვე კარგა ხანია თანდათან დაკარგა თავისი ძველი სახელი. ერთ დროს საქვეყნოდ აღიარებული ჩვენებური ჩაი, რომელიც საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა თავისი დამახასიათებელი არომატით, გემოთი და ფერით, ახლა სამართლიან საყვედურებს იმსახურებს. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს უხეშ ღეროებს და ხარისხის დამაკნინებელ სხვადასხვა მინარევებს.

დაკარგულ სახელს აღდგენა უნდა! ეს საპატიო მისია კი მეჩაიეებმა მეათე ხუთწლედში უნდა შევასრულოთ.

აი, სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს, ჩვენს წინაშე დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანებსა და პრობლემებს მიეძღვნა ქალაქ ქუთაისში ამას წინათ გამართული მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა შეკრება. ამ დიდმნიშვნელოვანმა შეკრებამ ახალი პერსპექტივები დაგვისახა მეჩაიეებს, დაგვრაზმა ჩაის ფოთლის წარმოებაში უფრო დიდი მაჩვენებლების მიღწევისა და ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის საბრძოლველად.

ჟურნალ „დროშის" მკითხველებს კარგად ახსოვთ, რომ სწორედ მეჩაიეთა რესპუბლიკური შეკრების წინ, პრესაში გამოქვეყნდა ტყიბულის რაიონის ორპირის კოლმეურნეობის მეჩაიეთა და ორპირის ჩაის ფაბრიკის მუშაკთა მიმართვა საქართველოს მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკებისადმი.

„ვდგებით რა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დევიზით — „მკვეთრად გავაუმჯობესებთ ქართული ჩაის ხარისხს!" მოვუწოდებთ რესპუბლიკის ჩაის მწარმოებელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მშრომელებს, მათს ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს ჩაებან საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრი ამაღლების მისაღწევად, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებაში".

მიმართვის ეს მეტყველი სიტყვები ჩვენი მეჩაიეების სამოქმედო პროგრამად გადაიქცა. დიახ, მეათე ხუთწლედის პირველი წელი ქართველმა მეჩაიეებმა ჩაის ხარისხის შემდგომი მკვეთრი ამაღლების დამკვრელურ წლიწადად გამოვაცხადეთ. ამ წელმა გარდატეხა უნდა შეიტანოს ქართული ჩაის ხარისხისათვის ბრძოლაში და მისი სახელის აღდგენაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ხარისხისათვის ბრძოლა არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს სიუხვისათვის ბრძოლას. აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემი რგოლის წევრებთან ერთად გულდასმით ავწონდავწონეთ ყველაფერი.

შარშან, ჩემზე გაფორმებული 0,5 ჰექტარი ფართობიდან, გეგმით 7.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო" უნდა მიმეღო; ნათქვამია, შენმა საქმემ გამოგაჩინოსო. მეც არაფერს ვიტყვი, ავდგები და მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ: მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სამშობლოს 10.414 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ნედლეული მივეცი.

წელს, მეათე ხუთწლედის პირველ წელს, სულ ცოტა, 11 000 კილოგრამ ჩაის ნედლეულს მოვკრიფავ 0,5 ჰექტარი ფართობიდან. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ნედლეულის ხარისხის ამაღლებას. ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციაში იწყება, ეს გარემოება კი ბევრს ავალებს თითოეულ მეჩაიეს.

რგოლის წევრებმა დეტალურად გავითვალისწინეთ ყველაფერი. უხვი და ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის მისაღებად გადავწყვიტეთ, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება. ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, ავამაღლოთ შრომის ორგანიზაციის დონე, დროულად და უდანაკარგოდ მივაწოდოთ ნედლეული ჩაის ფაბრიკას.

გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი ხუთწლედი სამ წელიწადში დავამთავრო; ხოლო რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ვალდებულება აიღო, მეათე ხუთწლედის გეგმა სამ-ნახევარ წელიწადში გაანაღდოს.

ყველაფერს ვილონებთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება საქმედ ვაქციოთ. ამისკენ გვიხმობს ჩვენი პატრიოტული მოვალეობა, ჩვენი ერთგულება მშობლიური პარტიისადმი, სამშობლოსადმი უზომო სიყვარული!


ეთერ ცირამუა,

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.






შესვენებისას ძმები ქარხნის ხეივანში იყრიან თავს.

ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ალბათ ისევ ომარი იქნება, — გადაულაპარაკა ვაჟა გუჯაბიძემ სამჭედლო საამქროს უფროსს შოთა ხვთისიაშვილს და ყურმილს დასწვდა.

ვაჟას ვარაუდი გამართლდა.

— დამიცადეთ. ახლავე მოვათავებ საქმეს და მოვდივარ, — ვაჟამ ორკაპზე ჩამოსდო ყურმილი, საათს ახედა.

მეშვიდე საათი დაწყებულიყო. პირველმა ცვლამ უკვე კარგა ხანია დაამთავრა მუშაობა. ბიჭები ალბათ მოსაცდელში არიან და მოუთმენლად ელოდებიან ვაჟას; ამიტომაც იყო, წარამარა რომ რეკავდა ომარი.

ვაჟა გუჯაბიძე ისევ სამუშაო მაგიდას მიუტრიალდა. მის წინ უცნაურად აჭრელებული ქაღალდები აწყვია, ოთხნიშნა და ხუთნიშნა ციფრებით სავსე ქაღალდები. ეს ციფრები შიგადაშიგ წითელი ფანქრითაა შეფერადებული.

მაგიდის მისადგმელთან სამჭედლო საამქროს უფროსი შოთა ხვთისიაშვილი ზის და ისიც ამ ციფრებს ჩაჰკირკიტებს.

— რატომ არ დაიწყეთ 2.194, 2.429 და 61.180 დეტალების დამზადება? — კითხულობს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილების უფროსი ვაჟა გუჯაბიძე და პასუხის მოლოდინში კედლისკენ იყურება. კედელზე ციფრებით აჭრელებული გრაფიკები, რაღაც ცხრილები და სქემებია გაკრული.

— ლითონმა გვიღალატა. სერიული სახარატო ჩარხების დეტალებისათვის სხვა მასალა გვჭირდება...

შოთა ხვთისიაშვილს სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, ვაჟა ტელეფონს დასწვდა და მომარაგების განყოფილებაში დარეკა.

მართალი ყოფილა საამქროს უფროსი: დეტალების დასამზადებლად მის საამქროს დროულად ვერ მისცეს თურმე შესაბამისი პროფილისა და დიამეტრის ლითონი.

— ახლავე მოგაწვდიან საჭირო მასალას, — მშვიდად ამბობს ვაჟა გუჯაბიძე.

ოთახში ისევ გაისმის ტელეფონის წკრიალი.

— ალბათ ომარია, — ტელეფონისკენ ალმაცერად აპარებს თვალს ვაჟა.

ახლა კი უმტყუნა ვარაუდმა: ყურმილში ომარის ნაცვლად, ჯემალის გაავებული ხმა გაისმა:

— გათენებამდე დაგელოდოთ?

— მოვდივარ, — იღიმება ვაჟა, — ახლავე მოვდივარ.

ქარხნის მოსაცდელში საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილების უფროსს ვაჟა გუჯაბიძეს ძმები ელოდებიან: ომარი და ყველაზე უმცროსი ჯემალი.

— ანზორი სად არის? — გაოცებით კითხულობს ვაჟა.

ანზორი მეოთხე ძმაა. ისიც აქ, კიროვის ქარხანაში მუშაობს.

— შენ რომ შეგაგვიანდა, ადგა და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა... ხომ იცი, რასაც ემდება? — ამბობს ომარი და მაშინვე დასძენს: — მოიცათ, ახლავე დავუძახებ.

საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის ოთხ წარმომადგენელს: ვაჟა, ომარ, ანზორ და ჯემალ გუჯაბიძეებს ყველა სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს ქარხანაში. ოთხნი კი არა, კიროვის ქარხანაში შვიდნი არიან გუჯაბიძეები: ქმრების მხარდამხარ სახელოვნად შრომობენ ვაჟას, ომარისა და ჯემალის მეუღლეებიც. ის კი არა, ამ რამდენიმე წლის წინათ, გუჯაბიძეების უფროსი ძმა ოთარიც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში მუშაობდა. სწორედ მისგან ისწავლა ვაჟამ ზეინკლობა. მერე დაუსწრებლად დაამთავრა ინსტიტუტი და საწარმოო სადისპეტჩერო განყოფილების უფროსად დააწინაურეს.

სადისპეტჩერო განყოფილება, როგორც ამბობენ, საწარმოს ტვინია. ამოდენა ქარხანაში ყოველდღიურად ათასობით დეტალი მზადდება, ათობით ჩარხი იწყობა და ყველაფერს თვალყური უნდა მიადევნო; სადაც შეფერხებაა, მაშინვე უნდა გამოასწორო ხარვეზი. ერთი სიტყვით, ვაჟა მუდამ საქმეშია გართული და საქმით არის დაკავებული.

...ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესადან მალე ომარმა ჩამოაკითხა ძმებს. ჩამოაკითხა და გულმა ქარხნისაკენ გაუწია. ომარს ანზორი და ჯემალი მოჰყვნენ; ძმათა წახედულობით, მათაც კიროვის ქარხანაში დაიწყეს მუშაობა.

ომარი და ანზორი პირველ საამქროში მუშაობენ. ომარი შიგმჩარხავია, ანზორი მხეხავი. ძმებში ყველაზე უმცროსმა ჯემალმა მღარაობა აირჩია და მერვე საამქროში შრომობს.

საქმის სიყვარულმა, გულმოდგინეობამ, ალალმართალმა გულმა და დასახული მიზნისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ გუჯაბიძეებს მთელს კოლექტივში მალევე გაუთქვა სახელი.

ჰკითხეთ ვისაც გინდათ და ყველანი დაწვრილებით მოგიყვებიან ვაჟასა და ომარის, ანზორისა და ჯემალის სანაქებო ამბებს, გესაუბრებიან მათ გარჯასა და შრომისმოყვარეობაზე, შეაქებენ ძმების კაცურ კაცობას.

თვის ბოლოს ძმები გუჯაბიძეები, როგორც წესი, უფროს ძმასთან ოთართან იკრიბებიან. მსჯელობენ, ერთმანეთს უთანხმდებიან და სოფელში წასვლის თადარიგს იჭერენ ხოლმე.

ღლესაც ოთართან აპირებენ წასვლას. მარტოხელა მამის ნახვა და მშობლიური კუთხის ნახვა მოენატრათ ბიჭებს. უკვე კარგა ხანია თვალი არ დაუვლიათ ეზო-ყურისათვის. ესეც არ იყოს, სიმინდი უკვე გასამარგლი იქნება და მოხუცს უნდა წაახმარონ ხელი.

მეექვსე ძმა ბახვა, რომელიც თბილისის ნომერ პირველ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში მუშაობს მძღოლად, ალბათ უკვე ოთართან ზის და მოუთმენლად ელოდება თავის ძმებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (474) ივნისი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# გუჯაბიძეთა ერთი დღე



ანზორ გუჯაბიძე (მარცხნივ) თავის ჩარხთან.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

ოთხი გუჯაბიძე კი ვერ იქნა და ველარ გავიდნენ ქარხნიდან.

— ნეტა რატომ შეაგვიანდა ანზორს? — კითხულობს ჯემალი და ვაჟას შესცქერის.

— აბა რა ვიცი?! — წარბებს შვილდავს ვაჟა, — წავიდეთ ანზორის საამქროში და იქ გავიგებთ რაშია საქმე.

ვაჟა და ჯემალი პირველ საამქროში შედიან.

ჩარხის უშველებელ დგართან ანზორი და ომარი დგანან, თავდახრილები ჩაჰკირკიტებენ ღილაკებს.

— მოწინაალმდეგეს ეხმარები? — ეშმაკურად ულიმის ვაჟა ომარს.

ომარიც იღიმება, შუბლზე მოცვარულ ოფლს იწმენდს და ხმადაბლა ამბობს:

— ცოტაღა დარჩა, ბარემ მოვრჩებით და ისე წავიდეთ.

ამ სამიოდე თვის წინ, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, კიროველებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. კოლექტივს ომარმა და ანზორმაც აუბეს მხარი: ადგნენ და ერთმანეთი გამოიწვიეს სოცშეჯიბრში.

ომარმა ვალდებულება აიღო, რომ ცვლაში ორი დეტალი დაამზადოს. დეტალიო, იტყვის ენა! მოდი და დეტალი უწოდე -მ-63 მოდელის ჩარხის ნახევარტონიან სიჩქარეთა კოლოფს, ანდა მიწოდების კოლოფსა და სხვა ურთულეს ნაწილებს!

არც ანზორი ჩამორჩა ძმას. აი ახლაც, უშველებელ დგართან ჩვეული მონდომებითა და გატაცებით ეჭიდება საქმეს. იგი ოთხკუთხა პულტზე ერთ-ერთ ღილაკს აჭერს თითს. რკინის ურჩხული ზანტად იწევს ზევით, მეორე ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ დგარი მიმართულებას იცვლის.

პულტზე 80 ღილაკი მაინც იქნება და ანზორმა ზედმიწევნით ზუსტად იცის თითოეულ იმათგანის დანიშნულება.

-- წყალი ჩართე! — ეუბნება ომარი ძმას.

ანზორი სწრაფად აჭერს ხელს რომელიღაც ღილაკს ქვის რუხი ბორბალი ციბრუტივით ტრიალდება, სხმული წინ მიიწევს და მის ზურგზე ცეცხლის ნაპერწკლები ჩნდება. ამ ცეცხლს საიმედოდ ესხმება ზედ რძისფერი სითხე.

— ყველაფერი რიგზეა! — სიხარულით ამბობს ომარი.

— ძმა ძმისთვისო! ტყუილად როდია ნათქვამი! — ახლა ანზორი ველარ მალავს სიხარულს და მაშინვე დასძენს, — წავიდეთ, ოთარი და ბახვა გველოდიან.

— შენ რაღა გააკეთე დღეს?

ეს შეკითხვა ყველაზე უმცროს ძმას ეკუთვნის. ჯემალი თვალს უსწორებს ვაჟას და მშვიდად პასუხობს:

— დღესაც გადაჭარბებით შევასრულე დავალება!

მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ამ საამაყო, მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით მოპოვებულ წარმატებებში გუჯაბიძეების წვლილიც ერია.

მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები თითოეული მშრომელისაგან მეტ შემართებას, მეტ ინიციატივასა და თავდადებულ შრომას მოითხოვს.

კიროველთა სახელოვანი კოლექტივი არც ახლა შეირცხვენს თავს. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი საწარმო [illegible], ახალი წარმატებებით ასახელებს დედასამშობლოს. შეგვიძლია გულდაჯერებით ვთქვათ, რომ ამ საერთო წარმატებებში ძმები გუჯაბიძეები კვლავაც შეიტანენ თავიანთ საპატიო წვლილს.

...უკვე ბინდდებოდა, როცა ვაჟამ, ომარმა, ანზორმა და ჯემალმა უფროსი ძმის ბინის კარი შეაღეს.

სავარძლებიდან თითქმის ერთდროულად წამოდგნენ ბახვა და ოთარი.

— მივდივართ მამასთან?

— მივდივართ!

მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუ ვინ იძლეოდა შეკითხვას და ვინ პასუხობდა ამ შეკითხვაზე. ექვსივე ვაჟკაცი მზად იყვნენ მამასთან გასამგზავრებლად.

ივერი ტაბიძე

ვაჟა გუჯაბიძე (შუაში) საექსპორტო ჩარხების საამქროს საამწყობო უბანზე






ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ემბლემა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.



ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკის ნაწარმი.



თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ ნაწარმი.



თბილისური ფეხსაცმელი.



ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო ქართულმა შალის საბანმა.



თბილისი. № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ნაწარმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხარისხი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ავეჯის ექსპერიმენტული ფაბრიკის ნაწარმი.



ქართული ჩაი



ქართული ღვინო და კონიაკი.

ვიქტორ ჯაირანელის ფოტო.

საბჭოთა ადამიანებმა მეათე ხუთწლედს ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი უწოდეს.

პარტიის მითითება ეფექტიანობის ამაღლების შესახებ პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ღრმა თვისებრივ ძვრებს მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის სტრუქტურასა და ტექნიკურ დონეში, არსებითად ვუცვალოთ მას სახე.

ეფექტიანობის კურსი მეათე ხუთწლედში იმით გამოიხატება, რომ შრომის ნაყოფიერებამ უნდა უზრუნველყოს სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, ხოლო სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის პროდუქციის მთელი მატება.

რაოდენობასთან ერთად მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხარისხს.

სკკპ XXV ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „მაღალი ხარისხი არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა გადიდება, ხოლო საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დაკმაყოფილება“.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლა თავდადებული, შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ემსახურება დაგეგმვისა და მართვის ძირითადი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისება, სპეციალისტების ძიება, მუშების ოსტატობა და მონდომება...

წინ დიდი და ნათელი ზღუდეებია დასაპყრობი. ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნეების, მშრომელი ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უკვე მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები: საქართველოში დამზადებულმა ზოგიერთმა ახალმა ნაწარმმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ვაქვეყნებთ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებულ მსუბუქი და კვების მრეწველობის საუკეთესო ნაწარმის ზოგიერთ ნიმუშს, რომლებსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშნები აქვთ მინიჭებული. ჟურნალის მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდება მძიმე მრეწველობის სხვადასხვა დარგის საუკეთესო ნაწარმის ფოტოები.




ქართული კონსერვები

# ძველი
# რვეულიდან

ლადო სულაბერიძე.

●

მე ამ ბილიკზე მშვენიერო.
არასოდეს არ გამივლია.
ტალახიანი ქალამნითა
ვით შევეხო ბალახს ლივლივას?!

შეხედე, როგორ მოწყობია
ორივე მხრით ბუჩქნი იელთა.
შინდის რტოები აგრე ადრე
ასე როგორ მოცარიელდა?!

შენი აჩნია ნაფეხური,
სხვაც აჩნია ბალახს ლივლივას.
მე კი არასდროს ამ ბილიკზე
არავისთან არ გამივლია.

●

რომ მოვახერხო, შევაგროვო
ქვეყნიური ჩემი ტანჯვანი,
შენ წინ დავდგამდი მყინვარივით,
აჰა-მეთქი ესე ტაძარი.

ნუ შეხვალ ოღონდ. შიგ დუღს
ცრემლი,
მწიფს ნაღველი. ცივი თოშია.
შენ გარე დარჩი, შენ აქ დარჩი,
ჯერ უხარჯავ საწუთროშია.

აქვე წყაროსებრ იჩუხჩუხე,
შენი ალი ამიხანძარდა.
პატარა ქოხი დამიწანი
ძველ ტანჯვათა მყინვარ-ტაძართან.

●

დაფესვებია ძველი ციხის
რღვეულ კედელს უტეხარი ხე.
ქარი ღრუბლებს ხევს ცად განფენილ
ცად განფენილ ღრუბლებს ქარი ხევს.

ლოდთა შორისი კირდუღაბი
გაუპია ხის ფესვს ჟინიანს.
და დედამიწას ჩაწვდომია, —
აწ გრიგალის არ ეშინია.

რღვეულ კედელზე ხესთან დგახარ,
მე ძირს დავრჩი, ციხის ლიბოსთან.
ჩემში გაივლის შენი ფესვი. —
ღმერთმა ესე ძალა გიბოძა.

●

ჩიტბატონებო, ნუ მექახით, —
ცლდისკენ მიწვევს ჯიხვთა ჯადონი,
ჩემი ღვთაება წინ მიმიძღვის,
ჩემი უველა ჭინკის ბატონი.

ჯიხვებს დავთოფავ, რქებით რათა
ჩამოფხრიწონ ცის კაბადონი,
ამად ღვთაება წინ მიმიძღვის,
ჩემი უველა ჭინკის ბატონი.

საჯიხვეებზე მე ავაღწევ, —
დავარბიო ჯიხვთა გვარტომი,
რაკი ღვთაება წინ მიმიძღვის,
ჩემი უველა ჭინკის ბატონი.

●

მდინარესავით შემოიჭრა
ჩვენ ორს შუა ფარა ზოზინა.
ქარმა ფოთლები შემოდგომის
მოაქუჩა, ჩემ წინ მოზვინა.

შენ გაღმით დარჩი, მე — გამოღმით,
მწყემსს კომბალი აქვს შეღერილი.
ღრენენ ძაღლები... (წუთისოფლის
ძაღლებისგან ვარ დაკბენილი).

შენ გაღმით დარჩი, შინდის წითელ
ბუჩქნარებით შენამკობარი.
მე კი ძაღლები მიღრენენ და
მწყემსის ფარას მოსდევს კომბალით.

●

ცხენების რემამ ჩაიქროლა,
[illegible] ცხენების რემა [illegible]
არ [illegible] — და სხივები
მათი გზიდან აკრიფა მზემან.

საით მიჭქრიან უმხედრონი?!
შენს სულს საით ეზიდებიან?!
თქარათქური თუ საქორწილო
დაფდაფებით იეზიდებია?!

ფაფრების ქარმა იისფერი
კაბის კალთა შენი წაიბა.
ცხენების რემამ ჩაიქროლა,
შეკრთა შენ წინ ჩრდილი წაბლისა.

●

გუმბათით ცაზე მიჭედილა
მოქათქათე წმინდა სამება.
იქ მისასვლელი ბილიკები
დამეკარგა და გზა ამებნა.

აწ შენ გამიძეხ, ღვთაებაო,
სიყვარულის მიმყე სავანეს.
ჩემი უჭერო სადგომელა
მომიგუმბათ-მომითავანე.

ჰოი, სამებავ, გევედრები
ამაშორე ჩრდილი მესამე.
შენთან მოსასვლელ ბილიკებით
ორნი მოვალთ... მო, მომესალმე.



# ჰაჰა [illegible] ანსამბლი

შარშანწინ ზაფხულს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში სატელევიზიო ფილმს „საქართველოს ხალხური შრომითი სიმღერების" ერთ-ერთ ეპიზოდს ვიღებდით. მხოლოდ ამ მხარეში შემოუნახავთ ძველთაძველი აჭარული სიმღერა „ოთხხმიანი ნადური".

ამ სიმღერას წყავროკელი კოლმეურნეები არამარტო ოჯახში და სცენაზე ასრულებენ, არამედ იქ, სადაც დაიბადა ეს მშვენიერი შრომის საგალობელი — სიმინდის ყანის თოხნისას. კოლმეურნეები თავს მოიყრიან სიმინდის ყანაში, თოხს მოიმარჯვებენ და ხალისიან შრომას მშვენიერ სიმღერასააყოლებენ-ხოლმე.

ასე იყო იმ დილითაც — ჩვიდმეტი მარჯვე ვაჟკაცი უთენია ჩასულიყო ყანაში და თითქოს მეტი სიფიცხე რომ მისცემოდა, სიმღერას აყოლებდნენ.

ყანის გარშემო შემოჯარულ სერებზე ახავერდებულ ჩაის პლანტაციებს საამოდ ეფინებოდა წყავროკელ კოლმეურნეთა თოხების წკრიალი და მშვენიერი სიმღერა.

ხანგამძლე, ტკბილი და დაუვიწყარია შრომაში დაბადებული სიმღერა, ძველ აჭარელ სიმღერასაც საუკუნეთა სიღრმეში უდგას ფესვები.

— ერთხელ თურმე, — გვიამბო მასპინძელმა, — იმრავლა მტრის ლაშქარმა. მამულის დასაცავად ქუდზე კაცი გამოვიდა. ბევრი აჭარელი ვაჟკაცი შეაკვდა მტერს, მტკაველი მიწა არ დაუთმო მოძალადეს. მომხვდური მოისრა. როცა აჭარის სოფლებში მშვიდობამ დაისადგურა, ომგადახდილმა ვაჟკაცებმა ისევ მეურნეობის აღორძინებას მოჰკიდეს ხელი.

ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცთა ქვრივ-ობლებს საკუთარი ძალღონით უჭირდათ ყანის დამუშავება და წლის სარჩო-საბადებლის მოწევა. მაშინ გამოჩნდნენ მოყვასნი. ქვრივ-ობლებს მიეხმარნენ, ყანა გაუთოხნეს, მათი შრომის უღელი გაინაწილეს. მეზობლურმა სიყვარულმა, მამულის ერთგულებამ დაზარდა ობლები, კერაზე ცეცხლი არ ჩაქრობიათ შინმოუსვლელთა ოჯახებს.

მოყვასთა მიერ სიმინდის ყანის დამუშავების დროს დაიბადა სიმღერა ნადური. იგი აჭარელთა მძიმე ცხოვრებას შეერწყა-შეეზარდა. საუკუნეთა ქარიშხლიან გზებზე სისხლსა და ოფლში იწურებოდა, ან ხმლის ფხაზე ენთებოდა ნაპერწკლად ხან თოხის პირთან ერთად ელავდა მაშვრალის ოფლით დანამული. ეს სიმღერა 300 წელი თურქთა ტყვეობის არტახებში ბორგავდა და მაინც შეინარჩუნა სიცოცხლე. ქოხებში სანთელივით მომავლის იმედად ბჟუტავდა, სანამ აჭარაშიც არ გაიშალა დიდი ლენინის ნათელი დროშა.

ფილმის რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, სახელმოხვეჭილი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის შვილის შვილი და თავისი საქმის ენთუზიასტი, ოპერატორი რევაზ ოდიშელიძე ოფლში იწურებოდნენ, ცდილობდნენ ფერად ფირზე აღებეჭდათ და სინქრონულად ჩაეწერათ ოთხხმიანი ნადური.

— გაიმეორეთ! — უყვირის პატარა ბიჭებს რეჟისორი. ტაქტი მეორდება. ოპერატორმა შვებით ამოისუნთქა. კინოაპარატი შეაჩერა, ეს იმას ნიშნავდა, სრულყოფილი კადრი დაიჭირა, ფირზე სწორად აღბეჭდა.

...სიმღერა ახლა ყანაში თოხის წკრიალთან ერთად გუგუნებს და ლაღად ევლება მიდამოს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები

## ვაჟა ჟუზუსიძე

### უცნობ ჯარისკაცს

უცნობ ჯარისკაცს რად ვარქმევთ მიკვირს,
კაცს, უცნობობით ქცეულს ცნობილად,
კაცს, სიკვდილით რომ შეება სიკვდილს
და უკვდავება დაიძმობილა.
კაცს, შინმოუსვლელს, ავბედი ბედით
ყველას რომ ჰგავს და არც ჰგავს არავის,
სიჭაღარავეს მრავალი დედის,
უსასრულობას მამის ვარამის.
ყოფნა-არყოფნის გრიგალს და ნიავს,
სევდას, გამხელილს და არ გამხელილს,
კაცს, ვისაც ყველას სახელი ჰქვია
და ამის გამო არ აქვს სახელი.
უცნობ ჯარისკაცს რად ვარქმევთ მიკვირს,
ქცეულს ყველაზე უფრო ცნობილად,
კაცს, ვინც სიკვდილით შეება სიკვდილს
და უკვდავება დაიძმობილა.

### შემოდგომის სურათი

ზეცას სიმაღლე უარუყვია,
დამსგავსებია დაორთქლილ სარკეს,
ხეები მიწას ფოთლებს უყრიან,
როგორც დამშეულ ბეღურებს საკენკს.
მზე მოგიზგიზე — უქრობი კვარი
გაყვითლებულა მწიფე კომშივით,
ისე საბრალოდ ზუზუნებს ქარი,
როგორც ფუტკარი ბუდემოშლილი.
ჰკნობის ოქროთი კალთადათოვლილ
მთას ჩანჩქერები სცვივა ცრემლებად,
დგანან ნაძვები მარტოდმარტონი,
ქვეყნის სინედლის ერთგულ მცველებად.

### 9 მაისის ცეცხლის მზე

ჯერ მივდიოდით რამდენიც შეგვეძლო
და შემდეგ — რამდენიც საჭირო იყო...,
ჯერ ვშიმშილობდით რამდენიც შეგვეძლო
და შემდეგ — რამდენიც საჭირო იყო...,
ჯერ არ გვეძინა რამდენიც შეგვეძლო
და შემდეგ — რამდენიც საჭირო იყო...
და რაკი შევძელით — რაც უნდა შეგვეძლო,
შევძელით, რადგანაც საჭირო იყო,
„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა“,
ცხრა მაისს ყველა მზე ცეცხლის მზე იყო.

## ალუდა არაგული

ზოგჯერ ვიგონებ ბისნას და ჩორეხს;
მგლების ლეგების მხარეს...
არხოტიონებს ვაჟკაცებს ქორებს, —
არწივის მაღლის ქარებს...
მერცხალს, პეტროს, ვიგონებ ზოგჯერ, —
ლექსებს, ელვების ელვას.
ცხენების რემას, ჯიხვების ჯოგებს,
ზოგჯერ ვიგონებ ყველას...

●

არაგვს მრავალი სიმღერა უთხრეს,
სწორუპოვარი უწერეს ლექსი...
მაგრამ სიმღერას ნამდვილს და უთქმელს,
დღეს თვითონ იტყვის არაგვი ჰესით.

ჰოი, რა დროა, დიადი მართლა,
ვფიქრობ (ფანტელი ჩამოდის თოვლის)
თუკი ვერ იგრძნობ ამ დღეებს ნათლად,
უარმყოფელი იქნები ყოვლის.
დამფასებელი ვერაფრის, ვერსად,
ვერასდროს დროის მხარში მდგომელი, —
და თუკი რასმე ააწყობ ლექსად,
ყალბი იქნება ლექსი ყოველი...

●

მოსმენა მინდა თქვენი საუბრის
ქერის ჯეჯილო, ზურმუხტის ტყეო,
გადაცვენილო ფიფქო ალუბლის,
მზეო ნათელო, ლამაზო დღეო.
მიმოფრქვეულო სურნელო ვარდის,
ველო, ყვავილით მიმოქსოვილო...

სხვას თუ უყვარხარ, მე რომ მიყვარდი,
ისე, — კენკეშის თეთრო ყვავილო.
გადაკონილო ქარის ტოტებით
ტირიფის ხეზე, ტირიფის ხეო...
შენ კიდევ ბევრჯერ განმეორდები...
ჭრელო მინდორო, ლამაზო დღეო...

●

ფშვენს სურნელება აყვავებული პანტის,
ტყეებში დადის
მწვანე სამოსით პანი...
არე-გარემო იით
და მოფენილა ვარდით...
და გაზაფხულის
მშვენიერი ეგე დესპანი
ძრით ბალახვარდის
ამოსული ნაპირზე ფშანის,
ჩარიგად შვენი
მოსასხამად პანის...

●

ერთხელ, ერთ ვინმეს გორგასალის
აჩვენეს ძეგლი
და მერე იქვე შეეკითხნენ:
— ვინ არის ეგი?
მან სიამაყეს ქართ-იმერის, სვანის და
მეგრის,
ამხედრებული ვინმე კაცის უწოდა ძეგლი...
ვაი რომ ლომი, ჭეშმარიტი ვერ იცნონ
ლომად, —
გაგეცინება, —
სატირალი არ იყოს რომა...

ვინ შემოინახა ეს სიმღერა? ვინ ატარა ტყვეობის ბნელ ლაბირინტებში და შთამომავლობას თავისი პირვანდელი სახით ვინ მოუტანა იგი?!

პასუხი ერთია: მშრომელმა გლეხკაცმა, რომელმაც არ იწამა თურქული მედრესის მონათა ლაღადისი, ურყევად შეინახა რჯული და დედაენა.

— ის მოხუცი, — გვანიშნებენ ამხანაგები ჭარმაგ გლეხკაცზე, თანატოლს რომ ამოდგომია გვერდში და თოხს მარჯვედ ურტყამს, — იუსუფ გამარჯვებაძეა. მთავრობამ პენსია დაუნიშნა, მაინც არ ისვენებს, ნახევარ ჰექტარამდე სიმინდის ყანას უვლის და გეგმური 17 ცენტნერის ნაცვლად 50 ცენტნერი მოსავალი მოჰყავს. წელსაც ამდენის მოყვანა ივალდებულა. სოფლის გუნდში მღერის — ახალთაობას ძველ აჭარულ სიმღერებს ასწავლის.

— აი, ის მეორე, კაფანდარა მოხუცი იუსუფს რომ უდგას გვერდით, პაპა ჰუსეინ ნოღაიდელია. ძველი „ოთხხმიანი ნადურის“ გადარჩენას, სხვა ოჯახებთან ერთად, მის ოჯახსაც უმადლიან აჭარლები.

ამ სახელდახელო ნადის იმიტაცია დამთავრდა და პაპა ჰუსეინი ყანის პირას ჩრდილში გავიდა. სასიამოვნო მოსაუბრეა. უმალ ძველ აჭარულ სიმღერებზე ჩამოაგდო საუბარი.

— ჩემი მამა-პაპა, — გვეუბნება იგი, — მთელი ოჯახით მღეროდა ძველ სიმღერებს. მახსოვს, ბავშვობისას, ოჯახში გვიშლიდნენ ქართულ სიმღერას, მაგრამ პაპაჩემს აჭარული სიმღერების საოჯახო გუნდი ჰყავდა და პატარებს თურქთა მალულად გვასწავლიდა სიმღერას.

ჩვენში დღეობები მალულად იმართებოდა და იმ დღეობებზე თუ ქორწილებში ჩვენს ოჯახს იწვევდნენ იმისათვის, რომ ხელსაყრელ დროს ძველი აჭარული სიმღერები შეგვესრულებინა და ხალხს დავიწყებისათვის არ მიეცა მშობლიური ჰანგები.

პაპა ჰუსეინმა 30 წელი იცხოვრა თურქთა უღლის ქვეშ და ქართულ სიმღერას ოჯახში ძვირფას რელიკვიად ინახავდა. ვინ მოთვლის ჯეელობაში რამდენი უსიამოვნება შეხვედრია პაპა ჰუსეინსა და მისი ოჯახის წევრებს მხოლოდ იმისათვის, რომ ვიღაცამ დააბეზღა ქართულად მღერიანო.

სოფლის მოსახლეობა იმედის თვალით უყურებდა მათ ოჯახს. ეს ოჯახი ქართული სიმღერების ბუდედ იყო აღიარებული. ამ ოჯახიდან შრომისმოყვარე მომღერალი ქალიშვილები და ჭაბუკები გამოდიოდნენ. მათ ქალს საპატარძლოდ არავინ იწუნებდა, ჭაბუკებს კი სანატრელ სიძეებად რაცხდნენ ახლომახლო სოფლებში.

შრომის სახელოვანი გზა განვლო მომღერალთა საოჯახო გუნდის უგვირგვინო ლოტბარმა პაპა ჰუსეინმა, რომელიც ახალგაზრდობისას მტრის იდუმალად ქვრივის ყანაში შეყრილ ოთხმოცკაციან ნადში სიმღერას მესვეურობდა. უშლიდნენ და მაინც მღეროდა, რომ მშობლიური სიმღერის სიტკბო ტყვედქმნილ მამულში მადლივით დაღვრილიყო, რომ მძიმე შრომას ხალისი მისცემოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე მშობლიურ სოფელ წყავროკაში პაპა ჰუსეინი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში. მერე პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოაყალიბა, ხოლო როცა ადგილობრივმა მთავრობამ ძველი აჭარული სიმღერების აღდგენა-შეგროვებას მოჰკიდა ხელი, ჰუსეინ ნოღაიდელის სიმღერის ხმამ ჯერ ბათუმამდე, ხოლო შემდეგ თბილისამდეც მიაღწია. „ოთხხმიანი ნადური“ და სხვა სიმღერები მისმა ოჯახმა აღადგინა და ახალი აჭარული სიმღერების ფონდში შეიტანა. ეს კი ძველი, მივიწყებული სიმღერების ხელახლა დაბადებას ნიშნავს.

არ არის სოფელში რაიმე სასიკეთო საქმე, რომლის თავკაცი თუ არა, აქტიური მონაწილე მაინც არ იყოს ჰუსეინ ნოღაიდელი.

პაპა ჰუსეინის საოჯახო ანსამბლი 6 შვილის, 23 შვილიშვილისა და 8 შვილის შვილიშვილისაგან შედგება.

შუათანა ვაჟიშვილი ჰასანი მამა-პაპათა ტრადიციას ახალგაზრდებს გადასცემს, სასოფლო კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდში. მათ გულმოდგინედ შეასწავლა ნადურის რამდენიმე ვარიანტი, ხასანბეგურა, აგრეთვე სხვა შრომის სიმღერები. მას გამრჯე კოლმეურნის სახელიც აქვს მოხვეჭილი.

დილაადრიან, როცა მზის პირველი სხივები გადაქარგავენ აჭარის ზურმუხტოვან მთა-გორებს და პაპა ჰუსეინის შთამომავალნი პლანტაციებში სამუშაოდ გაიკრიფებიან, მოხუცი ეზო-მიდამოს მზრუნველობით შემოუვლის, სად მესერს გაასწორებს, სად სარს შეუდგამს ვაზსა თუ ლობიოს, იქით ძროხას მიხედავს, აქეთ სამზადში თავის 80 წლის მეუღლე ფატის წაახმარს ხელს, მერე კი ორსართულიანი, ოდის აივანზე ჩაამწკრივებს შვილიშვილებსა თუ შვილთაშვილებს და გულდასმით უსმენს მათ შეწყობილ სიმღერებს.

საღამოს, მზის ჩასვლისას, როცა ზღვა მეწამულის ფერს დაიდებს, ოთხმოცდაათ წელს მიღწეული პაპა ჰუსეინის ოჯახში ბედნიერების ღიმილით შემოდის ღამეული სიწყნარე, რომელსაც თან ახლდევს პაპა ჰუსეინის საოჯახო-გუნდურ სიმღერათა მშვენიერი, მკვდრეთით აღმდგარი, ძველი აჭარული სიმღერების ტკბილი ჰანგები.

გიორგი გოჩიტაშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.



# ექიმი ყაჯარი

მიხეილ
მრევლიშვილი

მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე.

თბილისური ნოველების წიგნიდან

იყო აქიმი ერთი, რომლის ცოდნაცა და ვანსჯაც განთქმულებით ქვეყანას სწვდებოდა. ცხოვრობდა ეს აქიმი გარეუბანში უკაცრიელად და ობლად. სინჯავდა ავადმყოფებს მკურნალი, მაგრამ დახეთ უბედურებას, წამალს არავის უწერდა. „ბუნებით დავრდომილისთვის წამალი ბუნებააო", — უყვარდა თქმა. მაგალითად, ბუასილით ილაჯგაწყვეტილს ურჩევდა: ზაფხულის ხანს, როცა უმეტეს ცხელა, ინწოპაზე ადი, ტანთ გაიხადე, გახურებულ ლოდზე დაჯექი, რაც რომ არ დაგეწვას ერთ ხანს ითმინე და მერე ფიქალებიდან ნაჟურ ცივ წყალში ჩაჯექი, იქაც ითმინე. სიტყვას გაძლევ, ორ კვირაში განიკურნებიო.

კრინტი რომ დაეძრა ავადმყოფს „წამალი გამომიწერეო", — საშინლად გაჯავრდებოდა.

— გაიგეთ, ყველა წამალი საწამლავია და ერთ სატკივარს თუ არჩენს, მეორეს ვნებს. თუ წამალი გიყვართ, იმ ბრძენ აქიმებს მიმართეთ, ვინც მკურნალობა დააქუცმაცა და მარჯვენა ნეკის აქიმი ცალკე გამოჰყო და მარცხენასი — ცალკე... ჩემი წამალი ბუნება, მზე და წყალია!..

ასეთი გაუტეხავი კერპი იყო ჩვენი აქიმი, მაგრამ ავადმყოფები მაინც ეტანებოდნენ მას. ალბათ, სჯეროდათ მისი და იმიტომ.

ერთხელ მეტად მსუქანი ავადმყოფი ესტუმრა აქიმს და თავისი სატკივრის ამბავი გაანდო. მკურნალმა გულმოდგინედ გასინჯა ავადმყოფი და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ასე ძლიერ რამ გაგასუქა, გვარში მოგდევს? — ჰკითხა აქიმმა.

— პაპის მომსწრეც ვარ, ბებოსიც. მშობლებიცა მყავს, და-ძმანიც, ბიძებიცა და ბიძაშვილებიც, დეიდებიცა და დეიდაშვილებიც, მაგრამ ასეთი ლეში არავის ჰქონია! — უპასუხა ავადმყოფმა, სევდით და ხროტინით ამოიგმინა, თითქოს თოკს უჭერდნენ ყელში.

— შენ ხორცსა და ქონს ოთხი გული ვერ გაუძლებს, შენ კი ერთი გაქვს, და ისიც ბეწვზე ჰკიდია და არც სისხლ-ძარღვები გაქვს რიგზე — აუხსნა აქიმმა.

— მაშ, რა წყალში გადავვარდე, მირჩიე, მკურნალო... — შეჰვედრა ავადმყოფმა.

— წყალში რათა, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ჩვენ ჩვენი ვცადოთ, წყალში გადავარდნა კი მუდამ ჩვენ ხელთ არის! — დაამშვიდა აქიმმა ავადმყოფი და თან ძლიერ დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და მერე ისევ მსუქანს მიუბრუნდა:

— ჭამის მადა თუ გაქვს?

— საუზმედ ერთი ქვაბი ფაფა არ მყოფნის, სადილად — ერთი დედალი და ერთი ხელადა ღვინო, ვახშმად — შოთი პური, თუშური ყველი და კიდევ ორიოდე ჯამი ღვინო. დავაქციე ოჯახი და არ ვიცი, რა ვქნა! — უპასუხა აღელვებულმა ავადმყოფმა და თამბაქოს წევა მოინდომა.

აქიმს თვალები გაუფართოვდა. ადგა, მწეველს თამბაქო ხელიდან გამოსტაცა და ფანჯარაში მოისროლა.

ნირშეცვლილმა ავადმყოფმა თავი იმართლა: მეგობრებმა მირჩიეს, გახდომას შველისო.

— თუ თამბაქოს თავს არ დაანებებ, შენ მკურნალობას ხელს არ მოვკიდებ! — გაჯავრდა აქიმი.

ავადმყოფმა თანხმობა მისცა.

— არა მარტოოდენ შენ, მთელი ბინა თავისუფალი უნდა იყოს თამბაქოს შხამისაგან. უბანშიც არავინ უნდა ეწეოდეს. კარგი იქნება თუ ისეთ ქალაქს იპოვი, სადაც არავინ მისდევს ამ ავ ზნეს.

— სად მოვნახო ასეთი ქალაქი?

— ეგ ჩემი საქმე არ არის... კიდევ ჭამას უნდა უკლო ძლიერ. ხორცეული უნდა აკრძალო. წვეთი ღვინო შენთვის შხამია იცოდე, პურეული და ნამცხვარი — საწამლავი!

— დალოცვილო, ეგრე ყველაფრის აკრძალვა როგორ იქნება. „არა" ადვილი ბილიკია, აქიმი ხარ და შვება მომეცი კურნებისა, წამალი რამ გამომიწერე! — შეუტია სნეულმა.

— თუ მოხვედი, ალბათ, გჯერა ჩემი, თუ არადა რად მოდიოდი?

— პური არაო, ხორცი არაო, ღვინო არაო, მაშ, ეს ოხერი სტომაქი რით უნდა ამოვიყორო?! — ცხარობდა ავადმყოფი.

— საქმეც ის არი, რომ არ უნდა ამოიყორო, გეუბნები შენი გული ბეწვზე ჰკიდია, საცაა გაწყდება და დაიღუპები!

— მაძღრად სიკვდილი არა სჯობს შიმშილით სიკვდილს?!

— რათა შიმშილით. მიირთვი ხაჭო გაწურული, ბოსტნეული შერჩევით და ხილიც შერჩევით, — მშვიდად ურჩია აქიმმა.

— გულთმისანი ხარ?.. ბალღობიდან მეჯავრება ხაჭო და დო.

— ძალა ალმართს ხნავსო, ხომ გაგიგონია?

— მართალია, გაჭირვება ამიხსენ და გაქცევის გზა გადამიღობე! — ამოიოხრა ავადმყოფმა, აქიმს გამოეთხოვა და დაღონებული წავიდა.

მსუქანი ბაჯბაჯით და ოხვრით მიდიოდა და თან ფიქრობდა: „თუ ასეთი სახელგანთქმული აქიმია, რად დამიდო ეს სასიკვდილო ულუფა. თუ გამწირა, რად გამამხნევა. რა ვუთხრა ცოლ-შვილს... კიდობანში პური არა მაქვს, კოდში — ხორბალი, მთოხნელად მე არ ვარგივარ და არც თუ უბრალო მუშად. ჩემისთანა უმაქნისი ადამიანი არც სააქაოდ ვარგია და არც საიქაოდ, როგორ ვუსმინო ცოლის ხვნეშას, საკუთარი ბალღების წრიაქს, ძმებისაგან დამადლებულ ლუკმას. რაც წილად მერგო მამისაგან, ჩემმა სტომაქმა შთანთქა ყველაფერი, ჩემისთანა მცოხნავ პირუტყვს ერთი ტყვია და სამარე. მართალი იყო აქიმი, რომ მითხრა, „ძალა ალმართს ხნავსო" და თუ ეს ძალა არა გაქვს, სამარეა შენი პატრონი!.."



ამ ფიქრებით გაწამებულმა ავადმყოფმა, გეზი პირდაპირ მეკუბოვესკენ აიღო. მივიდა მეკუბოვესთან და უთხრა: „კუბო მჭირდებაო".

მეკუბოვემ ჰკითხა: „ვისთვის გჭირდება და რა ზომისაო?"

მოსულმა აუხსნა: „ამხანაგი გარდამეცვალა სწორედ ჩემი ზომისაო".

მეკუბოვემ აურჩია კარგი სასახლე კაკლის ხის ფერისა და სწორედ იმ ზომისა, მუშტარს რომ უნდოდა და თანაც ფასი უთხრა საგანგებოდ დაწესებული — არც მეტი, არც ნაკლები.

შეიშმუშნა საბრალოდ მუშტარი, მძიმედ ამოიოხრა, ცრემლი მოიწმინდა მუშტით, თითიდან საქორწილო ბეჭედი წაიძრო ბაჯაღლო ოქროსი, მეკუბოვეს გაუწოდა და გულით შესჩივლა: „ფული არა მაქვს და კუბოს საფასურად ეს თუ ივარგებსო"...

მეკუბოვემ აცრემლებულ მუშტარს თვალი სიბრალულით შეავლო, მერე ბეჭედი მუშტში აწონ-დაწონა, აცრემლებულს დაყვავებით უთხრა: „ეს ბეჭედი ორი კუბოს ფასია და ხურდას მოგართმევო".

უარი თქვა მუშტარმა ხურდაზე და სამაგიეროდ სთხოვა: „მძიმეა სასახლე, ზურგით თრევა გამიჭირდება, ხელის ურემი მომეცი ამ ტვირთის სათრევად და ერთმანეთში სწორი ვიქნებითო".

მისცა მეკუბოვემ აცრემლებულ მუშტარს ურემი, დაადო მუშტარმა ურემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე კუბო, გამოეთხოვა მხსნელს და გზას გაუდგა. გარეუბნის ბილიკებით მიაჩოჩიალებდა თავის ტვირთს ავადმყოფი და ეტყობოდა, ერიდებოდა უცაბედ მგზავრს.

შუადღე გადასული იყო, მაგრამ მაინც ცხელოდა. ისე მიადგა მგზავრი ტყის პირს, რომ სულიერი არ შეჰხვედრია. ეტყობოდა, აქ ნავალი იყო ჩვენი ავადმყოფი და კარგად იღებდა გეზს. ულრანში შეჭრილ, მწყემსებისაგან მიტოვებულ ქოხთან შეჩერდა. ქოხი ტყის წყაროსთან იდგა და მისი ჩუხჩუხი სმენას უტკბობდა ავადმყოფის უიმედობას.

მგზავრმა შეაღო ქოხის კარი. კუბო შეასვენა ქოხში, იქვე ნაპოვნი ობიანი ლიტრა გარეცხა წყაროსთან, ცივი ნაკადულით აავსო, მერე თვითონ გაიგრილა ტანი. ქოხში შევიდა, კარი ურდულით ჩარაზა, ცივი ლიტრა თავთ დაიდგა, კუბოში ჩაწვა, თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა...

ფიქრი კაცისა გაუხედნავი კვიცივით არის. ჰოდა, ამ კვიცს მოახტა ჩვენი ავადმყოფი და უმალ შეება ღრუბლებს. ღრუბლები მთებზე დაქარავდნენ. ავადმყოფი წამოჰქდა ერთ-ერთ მათგანს და დაიწყო ტუქსვა საკუთარი თავისა: „შენ ტარიელი გქვია, მაგრამ ტარიელისა არაფერია შენში. ის დიდი ტარიელი მკვდარია და მაინც ცოცხალია, შენ ცოცხალი ხარ და მაინც მკვდარი ხარ. ის გმირია, შენ კი — ლაჩარი. ის გადგა უდაბნოს სიყვარულის წვით, შენ კაენქეც ოჯახს და კუბოში ცოცხლად ჩაწექი, რადგან სტომაქმა უძლებელმა დაგლაჩრა შენ“...

ტარიელი იწვა კუბოში, ოხრავდა და ლიტრიდან ხამუშ-ხამუშ წყალსა წრუპავდა. ფიქრი კი გამალებული რაშივით მიჰქროდა მწვერვალებისაკენ: „თუ ლაჩარი არა ხარ, აიღე ულლის აპეური და ხეზე ჩამოიხრჩე თავი“, — ჩასჩურჩულა კვიმატმა აზრმა. ტარიელი წამოიწია კუბოდან, ხელები გაასავსავა და თავისსავე ფიქრს შეჰღრინა: „გმირი არა ვარ, გაიგე... საკუთარ თავზე ხელს ვერ ავიღებ, ისევ ჯობს, მიქელ-გაბრიელმა მომაკითხოს!“

ავადმყოფმა უცბად აუტანელი შიმშილი იგრძნო, წყლის სმამ მუცლისგვრემა დაურთო შიმშილს, გაწამებულმა ტარიელმა იფიქრა, იქნებ თამბაქომ დამიყუჩოსო, დაარტყა ნაფაზი და შენ მტერს!.. თამბაქოს ბოლმა დაარეტიანა მშიერი კაცი და გონება წაართვა. თვითონაც არ იცის, როგორ მიიძინა კუბოში. მიძინებულს როგორ დაეუფლა სიზმარი, მერე და რა სიზმარი!

გაშლილი სუფრა სავსე იყო ხორაგეულით: რა ნაზუქები და რა ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, რა ქადები და რა შოთი პურები, რა მწვადები და რა გოჭის მუჟუჟუ, რა საფერავი და რა თეთრა, რა ჯამები და რა ფიალები. ტარიელი სუფრის თავში იჯდა და სულმოუთქმელად ნთქავდა ყველაფერს. იყო ქეიფი, ღრიანცელი და ჭამა-სმა გახურებული. სუფრასთან სტუმრები, შინაურები, ფარეშნი და მერიქიფენი ირეოდნენ, მაგრამ ძლომას გადაყოლილმა ტარიელმა ისე დაასრულა სიზმარი, რომ ცოლ-შვილი ვერ მოინახულა. ეწყინა ძალიან და ამაზე გამოეღვიძა.

უკვე გათენებულიყო. ეს, ნამძინარევს, ქოხის ღრეჭოებში შემოპარულმა მზის სხივის ციაგმა ამცნო. ტარიელი გადმობობღდა „სასახლიდან“, კარს კეტის ურდული ჩამოხსნა და ქოხიდან გავიდა.

ზაფხულის მშვიდი დილა იდგა. მზის ამბორი ტყის ულრანებში ჯერ ვერ აღწევდა — მხოლოდ მაღლნარის კენწეროებს ცერად სხეპავდა. ყურთასმენა მგალობელთა სტვენას მიჰქონდა. ტყე იზმორებოდა, თანდათან იღვიძებდა. იზმორებოდა ტარიელიც და მშიერი მგელივით აქეთ-იქით დაძუნძულებდა. საკვებს ეძებდა საწყალი და ვერ პოულობდა. ხეტიალში ხან კურდღელმა გადაურბინა, ხან ციყვმა, მაგრამ რა ექნა უიარაღოს, მხოლოდ კბილებს აკაწკაწებდა... სულმნათს ტყუილად კი არ უთქვამს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსაო“.

მართლაც, არ გასწირა ბედმა ჩვენი ტარიელი. ახლო-მახლო ხეტიალისა და ოხვრა-წუწუნის შემდეგ, მშიერი, მაყვლიანის ახოს მიადგა. გაჰხედა ეკალბარდებში გახლართულ მწიფე მაყვლით გიშრად გადაშავებულ ტოტებს და გამჩენს მადლობა უთხრა.

დანაყრდა ტარიელი ტყის ამ ნაყოფით და შვება იგრძნო დიდად. მერე, როცა ტყის პანტა და ტყის მაჟალო აღმოაჩინა, ცას დაეწია სიხარულით, რას არ მიეჩვევა ადამიანი — დღე თუ ხილეულით იკვებებოდა, ღამე კუბოში ეძინა გადარაზულ ქოხში.

გადიოდა დრო და ტარიელი ატყობდა, როგორ ხდებოდა და როგორ დნებოდა, როგორ აწყობილად მუშაობდა გული. ქამრით ზომავდა რარიგად იფუყებოდა ღიპი. გრძნობდა ყველაფერ ამას და არა სჯეროდა.

რა უკეთესობა დაატყო თავს, ქოხში ნაპოვნი ნახშირით, დღეებს დაუწყო თვლა. იმედი აედევნა ლანდად. როცა ჩხირებმა კუბოს თავზე თვეს მიაღწიეს, ტანადობაში ტარიელი ამირანს ედავებოდა, ჯანმრთელობაში — ბაყბაყდევს.

დაფიქრებული ტარიელი წყაროსთან მივიდა. წყალი დალია, იქვე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა: „განდეგილობის ყავლი გამივიდა, თავს გოლიათად ვგრძნობ, შინ ცოლ-შვილი მიტოვებული მყავს, დროა მივხედო“.

იმ წყაროსთან გუბე იდგა ანკარა. გუბეში ხის ტოტები ჩანდნენ და შორს ცა ეკიდა ლურჯად. ტყის ნიავი ჰქროდა და გუბეში ხის ტოტებსა და ცის გუმბათს ალივლივებდა. ტარიელმა გუბის სარკეს ჩაჰხედა, სარკეში წვერმოშვებული და თმააბურძგნილი კაცი შენიშნა და თავისი სახიერება იმ დალოცვი-


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აქიმის ლანდადა ეჩვენა; თავზე შემოირტყა ხელი და წუწუნს მოჰყვა: „რა უმადურია ადამიანის ძე და რა უმადური ვარ მე. ამ განდეგილობაში ერთხელ არ მომგონებია ჩემი მხსნელი და ჩემი მკურნალი აქიმი, ეს ხომ ყველა მისი წამალი ჯსვი და თუ ახლა ცოცხალი ვარ, მისი ნაჩუქარი სიცოცხლით ვარ. მისი მადლით ვუყურებ ამ ცას, დავხარი იმედს მან რომ მაჩუქა. გულო, ავგულო, თუ კაცი მადლს არ დააფასებს, რაა კაცობა?!“.

ამ ფიქრით შეწუხებული ტარიელი ქოხში შევარდა, კუბო გარეთ გამოიტანა და იქვე წყაროსთან ჩაფლო, მერე ქოხის კარი გამოიხურა და გზას გაუდგა.

შინ მისული შინაურებმა ვერ იცნეს და როცა იცნეს, წივილ-კივილი ასტეხეს სიხარულისაგან. ტარიელმა შინაურებს და მეზობლებს ყველა უამბო რა და როგორ; მერე ჭუჭყი ჩამოირეცხა, ტანსაცმელი ჩაიცვა ახალთახალი, დალაქთან პირი გაიპარსა, თმა შეისწორა და აგრე მორთულ-მოკაზმულმა მხსნელის სანახავად გასწია.

აქიმმა რომ მომღიმარი უცხო კაცი დაინახა, ჯერ ვერ იცნო და როცა იცნო, ძლიერ გაუხარდა, გადაეხვია, გადაკოცნა, სავარძელში ჩასვა და ყველა წვრილ-წვრილად გამოჰკითხა. კუბოს ამბავი რო გაიგო, ბევრი იცინა, მაყვლისა და ტყის პანტისა რომ მოისმინა, დიდად მოუწონა ტარიელს გამჭრიახობა.

— მოდი ახლა ტანთ გაიხადე, ტახტზე წამოწექი, გაგსინჯავ და ყველაფერს გეტყვი, — უთხრა აქიმმა ტარიელს.

— არა მაწუხებს რა, და რა მაქვს გასასინჯი? — იუარა სტუმარმა.

— ის აქიმი რა აქიმია, თუ განკურნებულს არ გასინჯავს და თავის თავს არ შეამოწმებს?! — შეეკითხა აქიმი ტარიელს და თან ტახტთან მიიწვია.

დიდხანს სინჯა, დიდხანს ატრიალა — სად გულის ცემას მოუსმინა, სად ჩაქუჩი დაჰკრა სახსრებს, აქ კუჭისა ჰკითხა, იქ ელენთისა და ბოლოს, როგორც იქნა, მოათავა წამება კაცისა. ადგა. ხელები გადაიბანა. სავარძელში ჩაჯდა და ფიქრს მიეცა.

ფერმკრთალი ტარიელი ტახტზე გატრუნული იწვა.

ბევრი იფიქრა აქიმმა თუ ცოტა იფიქრა, ბოლოს ფიქრმა მაინც ტარიელთან მიიყვანა:

— ადექი, ტარიელ, ახლა შენ გული ლომისა გაქვს და მკლავი დათვისა. ჯანმრთელობა საუკეთესო სალაროა კაცისა, მაგრამ იცოდე, ჯანის სალარო უფრო მაღალია ძვირფასეულის სალაროზე და ორივე ერთმანეთის მტერია. ნუ აჰყვები ეშმას და ძალა შენი მოახმარე შვილთა თაობას... წადი, ჩემო ტარიელ, წადი და იშრომე-იჯაფე, შენი გული გაუძლებს ჯაფასა და წლებს — უთხრა საბოლოოდ აქიმმა ტარიელს, გადაეხვია, გადაკოცნა და შინ გაუშვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ლადო გუდიაშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია თავის მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავს ღვაწლმოსილ დიდ ხელოვანს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. უსურვებს მრავალ ახალ შემოქმედებით გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

როცა საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართველ მხატვარზე — ლადო გუდიაშვილზე ლაპარაკობ, როცა მის მიერ ათეული წლების მანძილზე განვლილ შემოქმედებით გზას გადაავლებ თვალს, მკგზურად ყველა უკეთ მისივე სიტყვები გამოგადგება: „ჩემი მხატვრული სტილის ჩამოწრთობაში ქართულმა ფრესკამ, რომელიც მე მშობლიურ პირველწყაროდ მიმაჩნია, კეთილი, სულიერი ხელი დამადო... ამ მხატვრულ განძთან შეხების საშუალებით მე ვეზიარე ცხოვრების საწყისს. ქალწულებრივ სიწმინდეს, ბუნების სტიქიას, პირველყოფილ სიჯანსაღესა და სილამაზეს“. როცა მხატვარი ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლაზე ლაპარაკობს და იხსენებს წლებს, როცა ჯერ სულ ახალგაზრდა, ათიანი წლების ბოლოს ქართული კულტურის შემსწავლელ სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობს, განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ მისი მოხვედრა ამ ექსპედიციებში „განსაზღვრა იმ ლტოლვამ, რომელიც მე სიყრმიდან მამოქმედებდა — ყველგან ქართულ ძეგლებსა და კედლის ნახაზებს შორის ვეძებდი „მხატვრულ ქართულობას“-ო...

და მართლაც, ლადო გუდიაშვილს თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე უმთავრეს ამოცანად ის მიაჩნდა, რომ ეროვნული მხატვარი ყოფილიყო. და ეს შეგნებული, გამიზნული მისწრაფება ლეიტმოტივად გასდევს მის მთელს შემოქმედებას.

ლადო გუდიაშვილმა შეისისხლხორცა ქართული მხატვრობის მთელი რიგი ფორმალური მხარეები, მაგრამ იგი გარეგნული მსგავსებით არ ცდილობს იყოს ადგილობრივი მხატვრული ტენდენციების მატარებელი, ყველაფერი ეს მის შინაგან ბუნებაში ორგანულადაა გაულენთილი და ამიტომ ბუნებრივადაა მის ტილოებში აუღერებული. ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებებში თითქოს თანამედროვე ფორმითაა გაცოცხლებული ძველი ქართული ხელოვნების ტრადიციები, მისი ხაზობრიობასა და დეკორატიულობისაკენ მისწრაფებაშია გამოვლენილი.

გრაფიკულ თუ ფერწერულ ნამუშევრებში ხაზი ხან მსუბუქად სრიალებს, ხან კი დინამიური, ექსპრესიული, თითქოს საკუთარი ინერციას აყოლებული მისდევს სტილიზებულ ფორმებს, რომელშიაც სწორედ ხაზი გამოხატავს ყველაზე მნიშვნელოვანს, დამახასიათებელს. ხაზის ძალა — მხატვრის შთაგონების წყაროა. ხაზოვან — ორნამენტულ დეკორატულობისაკენ მისწრაფება ძველი ქართული მონუმენტური ფერწერისა და გვიანფეოდალური ეპოქის ხელნაწერთა მორთულობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელთათვის პირობითი და ორნამენტული აღნაგობა — ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი მხარეა.

ლადო გუდიაშვილი ოციანი წლების დასაწყისში პარიზშია, სადაც ჩქეფს მხატვრული ცხოვრება. ეროვნული ტრადიციები იყო სწორედ ის ძალა, რომელიც მხატვრის შემოქმედებაში წინ აღუდგა მოდერნისტული ხელოვნების მოდურ გატაცებებს, მთელ სამყაროს რომ მოედო მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. თუ განსაკუთრებული დეკორატულობა და ექსპრესიულობა ახლობელი იყო მხატვრის ბუნებისათვის, უსაგნო ხელოვნების ნიმუშები სრულიად უცხოა მისთვის.

ლადო გუდიაშვილმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო დავით კაკაბაძესთან, ელენე ახვლედიანთან, ქეთევან მაღალაშვილთან და სხვა ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად, რომლებიც წინარევოლუციური ეპოქის ბობოქარ დღეებში გამოვიდნენ ასპარეზზე. მათთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ეროვნული ფორმის ძიება, და ყოველი მათგანი თავისებურად წყვეტდა მას.

მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ ხასიათს ატარებენ დავით კაკაბაძის და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები. ორივე მხატვარი ბევრს მოგზაურობს მშობლიურ მხარეში, ღრმად სწავლობენ ძველ ქართულ ხელოვნებას — ამან მცირე როლი როდი ითამაშა მათი შემოქმედების ჩამოყალიბებაში. მათი ნამუშევრების დიამეტრულად განსხვავებული ხასიათი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ეროვნული თავისებურება, რომელიც სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, სხვადასხვა ტემპერამენტის მხატვრების მიერაა გადამუშავებული. თუ დავით კაკაბაძის ნამუშევრებში აშკარაა უპირველესად ყოვლისა რაციონალური საწყისი, ლადო გუდიაშვილი წარმოგვიდგება მხატვრად, რომლის ნაწარმოებები „გრძნობითა და ინტუიციით“ არის ნაკარნახევი.

მხატვარი მეტად ინდივიდუალურია თავისი მანერითა და სახვითი საშუალებების გამოყენებით. თავისებურია სურათის ფერადოვანი ჟღერადობით, რომელიც მიუხედავად სხვადასხვაობისა, ერთიან კოლორიტს ექვემდებარება.

ლადო გუდიაშვილის ფანტაზია უსასრულოა. ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სერიის შემდეგ, იგი მრავალი წლის მანძილზე ქმნის უამრავ ნაწარმოებებს, რომლებშიც გაცოცხლებულია ძველი ისტორიის ფურცლები და ლეგენდები, ზღაპრები და სხვადასხვა იგავები ალეგორიულ გმირთა მონაწილეობითა და სხვ. მაგრამ ზღაპრულ პერსონაჟებსაც ხაზგასმულად ხელშესახები, მიწიერი სახე აქვთ. წლების მანძილზე კომპოზიციათა ხასიათი, მათი წყნარი, იდილიური გადაწყვეტა ტემპერამენტიანი, მღელვარე მოძრაობით იცვლება.

მხატვრის შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს პორტრეტები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ რეალურ პირებს გამოხატავენ, იმდენადაა იდეალიზებული და მოქცეული მხატვრისათვის აუცილებელი ფანტაზიის სფეროში, რომ სცილდება ჩვეულებრივი პორტრეტის მნიშვნელობას, რომელზედაც ესა თუ ის პიროვნებაა დახატული და რომანტიკულ ხასიათს იძენს.

ლადო გუდიაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ცხოვრების ამსახველ სურათებს. გარდა დღევანდელი გმირთა პორტრეტებისა, იგი ქმნის ტილოებს ახალი თბილისის, საბჭოთა მშენებლობათა და სოფლის ცხოვრების თემებზე.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს სამამულო ომის წლებში შექმნილ გრაფიკულ სერიას, რომელშიც მთელი სიძლიერითაა გამოხატული მხატვრის დაუფარავი ზიზღი და გულისწყრომა ფაშიზმისადმი. ამ სერიას ბევრი სპეციალისტი სამართლიანად ადარებს დიდი გოიას ცნობილ „ომის საშინელებას“!

ფერის პრობლემა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დახვეწილი, დინამიკური და მეტყველი ნახატი შერწყმულია ფერის არაჩვეულებრივ ფაქიზ შეგრძნებასთან.

ჩვენ აქ შეგნებულად არ ვასახელებთ კონკრეტულ ნაწარმოებებს, ერთის დასახელება, იმ წამსვე მოითხოვს მეორეს, მესამე და ასე წარმოგვიდგება ჯაჭვი ბრწყინვალე ტილოებისა თუ გრაფიკული ფურცლებისა, რომელშიაც ერთიანადაა გამოხატული მხატვრის შემოქმედებითი კრედო, სრულიად განსხვავებული და ერთადერთი, რომელსაც იგი არასოდეს ღალატობს. შესანიშნავად აღნიშნავს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, რომ „მისი ხელოვნება იმდენად თავისებურია, რომ მას არ შეიძლება ჰყავდეს უშუალო მიმდევრები და მოწაფეები. ამავე თავისებურების გამოა, რომ გუდიაშვილის შემოქმედება კამათს იწვევს: მას შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ გულგრილად კი ვერასოდეს ვერ მოეკიდები“.

მართლაც და, გულგრილად როგორ მოეკიდები ღრმა ემოციურობით გაჟღენთილ ტილოებს და გრაფიკულ ფურცლებს, რომლებზედაც აღბეჭდილია მხატვრის უებრო ნიჭი და დაუოკებელი ენერგია. გულგრილად როგორ მოეკიდები ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს, რომლებზედაც მოსჩანს თავის ქვეყანაში და პროფესიაში უზომოდ შეყვარებული ადამიანი, მოქალაქე, რომლის მთელი ცხოვრება მტკიცე, ურყევი პრინციპულობითაა აღბეჭდილი.

ლადო გუდიაშვილი, მას შემდეგ რაც ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი კულტურული ცხოვრების შუაგულშია ყოველთვის, მისი აქტიური მონაწილეთაგანია. პარადოქსად ნუ მოგეჩვენებათ და, ახლა თვით მისი შემოქმედება გახდა მონაწილე ჩვენი მხატვრული ცხოვრებისა. თბილისელებმა თავის სტუმართმოყვარეობას ერთი შესანიშნავი ახალი ტრადიცია შესძინეს: მხატვრის სახელოსნოს დათვალიერება თითქმის სავალდებულო გახდა ყველა ჩამოსულისათვის.

ეს — მხატვრის ნიჭისა და დამსახურების ჭეშმარიტი აღიარებაა!

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დიდოსტატი კვლავ ენერგიულად იღწვის და ამდიდრებს თავის შემოქმედებას, რომელიც უკვე მის სიცოცხლეშივე კლასიკად იქცა.

**ნოდარ ჯანბერიძე,**

საქართველოს მხატვართა კავშირის
გამგეობის პირველი მდივანი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი ბავშვობა

თარხან არჩვაძის ფოტო



დავით გურამიშვილის სიკვდილი

# ლადო გუდიაშვილი



დავითი და თამარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტი ოჯახი



ფრესკა





ესპანელი მეგობრები



პარიზის კაფეში



— გისმენთ „სასწრაფო დახმარება!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძახების მოლოდინში.



კომკავშირული სპეცბრიგადა გამოძახებაზე მიეშურება.



გზაში

გ უ რ ა მ  კ უ ც ი ა ვ ა ს  ფ ო ტ ო

მაჯისცემა აჩქარებულია!



— ავადმყოფი გადამყავს საავადმყოფოში!



ოთახში ისევ გაისმის ტელეფონის ზარის წკრიალი.

უფროსი დისპეტჩერი სწრაფად იღებს ყურმილს და მკაფიო ხმით ამბობს:

— სასწრაფო დახმარება გისმენთ!

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა იძედის მომცემია განსაცდელში ჩავარდნილი ადამი-



მძიმე შემთხვევა.

# როცა ადამიანს უჭირს... 03

გურამ კუციავას ფოტო.

ანისათვის ამ მოკლე და მკაფიო ფრაზის გაგონება.

— გვიშველეთ!.. დაგვეხმარეთ!.. რაც შეიძლება სწრაფად გამოგზავნეთ ექიმი!.. — გაისმის ყურმილში სასოწარკვეთილი ხმა.

სასწრაფო დახმარების ცენტრალურ სადგურში წამსაც არ კარგავენ უქმად: სწრაფად ზუსტდება ავადმყოფის მისამართი, შეძლებისდაგვარად დგინდება ტელეფონით დარეკვის მიზეზი. ორიოდე წუთის შემდეგ წითელჯვრიანი მანქანა სირენის გაბმული გუგუნით შეუფერხებლად მისრიალებს ქალაქის ქუჩებში.

გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის დასახმარებლად ამჟამად კომკავშირული კარდიოლოგიური სპეცბრიგადა მიეშურება.

ამ ბრიგადაში ოთხი წევრია: ექიმი ტარიელ ნამორაძე, ექთანი ლუდმილა კოვალიკი, ლაბორანტი ლეილა მარლანაშვილი და სანიტარი ნანა ცხადაძე.

კომკავშირული სპეცბრიგადა სულ რამდენიმე თვეა რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ უკვე მოასწრო საერთო მოწონებისა და პატივისცემის დამსახურება. საქმისადმი უზომო სიყვარული, თავდადება, გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისათვის რაც შეიძლება სწრაფად და დაუბრკოლებლად ყოველგვარი დახმარების გაწევა, — ამ ახალგაზრდულ ბრიგადას სანიმუშოს და ყოველმხრივ მისაბაძს ხდის.

აი ახლაც, ადამიანის საშველად მიიჩქარიან ბრიგადის წევრები. ყოველგვარი დეტალი წინდაწინვე ზუსტად არის გააზრებული: სხვადასხვა დასალევ წამლებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, გულით ავადმყოფისათვის ახალი სახის მეტად ეფექტიანი და უებარი ნემსებიც მიაქვთ თან.

თუ აუცილებელი გახდა, ლაბორატორიული ანალიზის გაკეთებაც შეიძლება ადგილზე. ლეილა მარლანაშვილი სადღაც გამოსძებნის კუთხეს, მაშინვე მიუჯდება თავის საქმეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ზუსტ ანალიზს წარუდგენს ექიმ ტარიელ ნამორაძეს.

ეს კი არა, თანამედროვე მედიცინა ისე განვითარდა, ისე მომძლავრდა სათანადო ტექნიკა, რომ „სასწრაფო დახმარების" მანქანაშიც კი შეიძლება ავადმყოფისათვის სისხლის სასწრაფოდ გადასხმა.

მძინარე დედაქალაქს თანდათან ედება ცტრედისფერი.

ქუჩებში ისევ სწრაფად მიქრის წითელჯვრიანი მანქანა. ვინ მოთვლის, კომკავშირელი კარდიოლოგიური სპეცბრიგადა დღეს მერამდენედ მიიჩქარის ადამიანის საშველად.

ეს მანქანა ერთადერთი როდია მილიონიან ქალაქში.

ორიოდე სიტყვით ჩვენ მხოლოდ ამ ბრიგადის შესახებ ვისაუბრეთ, ასეთი ბრიგადები, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში მდგომი მედიცინის მუშაკები კი მრავლად არიან დედაქალაქში.

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, რომ ულრმესი პატივისცემით მოვიხსენიოთ ადამიანები, რომლებიც ჩვენი სიცოცხლის, ჩვენი სიკეთის, ჩვენი ბედნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის საიმედო სადარაჯოზე დგანან.

სისხლის გადასხმა მანქანაში.



ლაბორანტი
ლეილა მარლანაშვილი.



ექთანი
ლუდმილა კოვალიკი.



...„სასწრაფო დახმარების" პირველი სამედიცინო პუნქტი თბილისში 1911 წელს გაიხსნა.

...„სასწრაფო დახმარებას" იმ ხანებში მხოლოდ ერთი ეტლი ემსახურებოდა.

... 1924 წელს „სასწრაფო დახმარების" პუნქტს პირველი ავტომანქანა გადაეცა.

— დედაქალაქსა და მის გარეუბნებში „სასწრაფო დახმარებას" ყოველდღიურად 1.000-ზე მეტი გამოძახება აქვს.

... შარშან თბილისსა და მის გარეუბნებში 400.000-ჯერ გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება".

...„სასწრაფო დახმარების" ცენტრალურ სადგურს თბილისში 25 სპეციალური ბრიგადა ჰყავს. კარდიოლოგიურ, გინეკოლოგიურ, ნევროლოგიურ და სხვა პროფილის ბრიგადებთან ერთად, მშრომელებს ღამის საათებში დიდ დახმარებას უწევენ გამოცდილი სტომატოლოგები.

... ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონის ცენტრში მუშაობს „სასწრაფო დახმარების" სადგური.

... „სასაწრაფო დახმარების" სამსახური საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად 60 მილიონზე მეტ ავადმყოფსა და დაზარალებულს უწევს ჯეროვან სამედიცინო დახმარებას.

... ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის „სასწრაფო დახმარების" სადგურებში 21.000 ექიმი და 52.000 მედიცინის და მუშაობს.

... საბჭოთა კავშირში ფართოდ არის განვითარებული სანიტარული ავიაცია. თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს მთაღალმთიან და სხვა მიუვალ რაიონებში სასწრაფოდ გადაჰყავთ ექიმები, გადააქვთ სამედიცინო პრეპარატები და საჭირო მოწყობილობანი.

— გამოკითხვას თავისებური ცოდნა და გამოცდილება უნდა. მომსწრეებთან რომ მიდიხარ, არ უნდა გამჩნევდნენ რომ შენ ფიროსმანიშვილის საქმეებით ხარ დაინტერესებული. თუ ეს შეგატყვეს, მორჩა, აღარაფერი გამოვა. უნდა დაიხურო ქუდი და უკან გამობრუნდე, — გოგლა გაჩუმდა და პაპიროსს მოუკიდა, — ახლა შენა, — განაგრძო მან, — სოზაშვილებთან შეირბინე და გაიგე სოფლიდან ჩამოვიდა თუ არა, მაინტერესებს გამოცდას როგორ ჩააბარებ, წადი, კარგად გამოკითხე ყველაფერი, დაწვრილებით ჩაიწერე და ისე წამოდი; სურათი თუ აქვს ჩამოტანილი, მაშინ დამიძახე და მე მოვალ.

სოზაშვილები შინ არ დამხვდნენ და უკან გამოვბრუნდი. ქუჩაში გოგლას კარლო კალაძე ესაუბრებოდა, მისვლა მომერიდა და შორიახლოს დავდექი.

— ახლახან დაღესტნიდან დავბრუნდი, — ჰყვებოდა კარლო კალაძე, — აულები, აულები... მერე რა პურმარილი სცოდნიათ.

— ვიცი, ვყოფილვარ, — უცებ თვალი შემასწრო, — რა ჰქენი?

— შინ არ დამხვდა.

გოგლა ჩაფიქრდა.

— ვინა, ვინა? — იკითხა კარლომ, — ამ ქუჩაზე რა გინდა?

გოგლას პასუხი არ გაუცია.

კარლომ ქუჩის აბრას შეხედა — აბრას ფიროსმანიშვილი ეწერა. კარლო მიხვდა, გოგლა ამ ქუჩას რად უტრიალებდა.

□

— პოეტი მებრძოლი უნდა იყოს, — ამბობს გოგლა, — სახლში არავინ მოგივა და არ გეტყვის, მოიტანე ლექსები დავბეჭდოო. შენ თვითონ უნდა მიხვიდე და იბრძოლო. ახლა ჩვენი წიგნი რომ გამოვა ნიკო ფიროსმანიშვილზე ზედ ეწერება უშანგი ბედია, გიორგი ლეონიძე. არა, ჯერ გიორგი ლეონიძე, მერე — უშანგი ბედია, პირველი მე უნდა ვეწერო, მერე შენ! — გოგლამ შემომხედა, — ეგრეა, შვილოსა, — თქვა და გაიცინა.

□

— ზოგიერთი მომსწრე ნიკოზე ტყუილს გვაწერინებს, — ვეუბნები გოგლას.

— რა იცი?

— ვატყობ.

— ჰოო, არა უშავს, ლამაზი ტყუილი კარგია, ეგეც უნდა ჩაწერო, აბა, მა რა, ამას ხალხი იგონებს და ალამაზებს, ჩვენ ხომ არა?

□

— სოფელ აფენში გავიარე, — ჰყვება გოგლა, — ერთი კაკლის ქვეშ ხალხი შექუჩებულიყო, ტრაქტორი მოეყვანათ და გარშემო უტრიალებდნენ, დავინტერესდი და მანქანა გავაჩერე, ვიკითხე:

— რა ამბავია?

— არაფერი, აი ეს კაკლის ხე უნდა მოვჭრათ.

— რას აშავებს?

— ამ ადგილას კანტორა უნდა ავაშენოთ.

მივიხედ-მოვიხედე, იმ ადგილას ერთადერთი კაკლის ხე იდგა.

— თქვე დალოცვილებო, სხვა მეტი ადგილი ვერა ნახეთ, რაღა მაინცდამაინც ეს ასწლოვანი კაკლის ხე უნდა მოჭრათ? კაკლის ხეზე უკეთეს რას გაახარებთ? ვინ იცის, მის ჩრდილში რამდენ სარდალს და მეომარს შეუსვენებია? თქვენ კი მოსაჭრელად იმეტებთ!

— თავმჯდომარისგან გვაქვს ნაბრძანები.

— ახლავე წამიყვანეთ იმ თქვენ თავმჯდომარესთან.

წავედი, თავმჯდომარე ვნახე, ვუთხარი:

— იმ კაკლის ხეზე კარგი სოფელში რა გაქვს, რომ იმასაც სჭრი?!

თავმჯდომარეს შერცხვა.

— რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ აფენში მომიხდა გავლა, — განაგრძობს გოგლა, — მაშინ იმ რაიონიდან დეპუტატად ვიყავი არჩეული, დავინტერესდი, ერთი ვნახო რა გააკეთეს-მეთქი. მივედი, ვნახე ის ასწლოვანი კაკლის ხე ხელუხლებელი იდგა, ხოლო მის გვერდით კანტორა აეშენებინათ.

□

— ერთხელ მომიტანე და მაჩვენე ჩემზე რასა სწერ, — მეუბნება გოგლა.

— მოგიტანთ.

— როდის? ხვალ რომ მოხვალ, თან წამოიღე, არ დაგავიწყდეს.

მეორე დღეს „ჩანაწერები“ მივუტანე. გოგლამ სათვალე გაიკეთა და რამდენიმე გვერდი ჩაიკითხა.

— ჰოო, დანარჩენს სახლში წავიკითხავ, შენიშვნებს წითელი ფანქრით აღვნიშნავ; ახლა შენ ეს მითხარი, აბელ ბუღდანიჩის დასაფლავებაზე რატომ არ იყავი? არ შეგატყობინეს?

— არა.

— მე ვიყავი ქელეხში; თამადადაც ამირჩიეს, უარი ველარ ვუთხარი... საწყალი ბუღდანიჩი. ბოლო დროს შენგან რაღაცა სწყინდა.

— ხო, ის ამბავი... რომ მოგიყევით...




— რომელი ამბავი?

— შუა აზიაში რომ დაემართა...

— ჰო, ვიცი, ვიცი, ქალის ამბავზე არა? — გოგლა გაჩუმდა, — ჩემთვის არ უნდა გეთქვა, შენა ხარ დამნაშავე, კაცი შენ გენდო და შენ კი მე მითხარი, ეს არ ვარგა, საიდუმლოს შენახვა უნდა გიყვარდეს.

□

მესამე დღეს გოგლას მწერალთა კავშირში შევხვდი.

— ბიჭო, მოდი აქ, ეს რა დაგიწერია? — თქვა და შალვა აფხაიძის კაბინეტში შევიდა, მეც შევყევი.

— შალვა, ამ კაცს ხომ იცნობ?

შალვამ შემომხედა.

— როგორ არ ვიცნობ.

— პოეტია, ახლა ჩემზე ჩანაწერები გაუკეთებია, მართალი გითხრა, გამეხარდა, იმიტომ კი არა, ჩემზე რომ არის დაწერილი, არა, მე ამ კაცში კარგი პროზაიკოსი აღმოვაჩინე. მოდი, ბიჭო, მოთხრობები სწერე, ლექსები რად გინდა?!

წყენა შემატყო.

— აი, მე მოთხრობების წერა დავიწყე და კარგი გამომივიდა. შენცა სცადე, ჰა?!

— ბატონო გოგლა, უპირველესად თქვენ პოეტი ბრძანდებით!

— მართალი ხარ, ჯერ პოეტი უნდა იყოს კაცი, თუ არადა წყალწყალა მწერალი იქნები!

□

— სასადილო „ცივი წყარო“ მქონდა, — იგონებს მიშა მამაგეიშვილი, — ნიკომ იქ დახატა „ძუნწი კარაპეტა და საქულა“.

— რა შინაარსისა იყო ნახატი? — ჰკითხა გოგლამ.

— „ძუნწი კარაპეტა და საქულა“ ჩაცუცქულები იყვნენ, წინ ფული ეყარათ და იყოფდნენ. ძალიან კარგი ნახატი იყო. ხალხში სიცილს იწვევდა. ახლაც რომ მაგონდება, მეცინება.

უშანგი ბედია

## ძველი პრესის ფურცლებიდან

ერთ გერმანელს ფრანგი ესტუმრა. სადილზე ფრანგმა უცაბედად ერთი ჭიქა ღვინო დაღვარა. ფაქიზ გერმანელს გულმა არ მოუთმინა და ჰკითხა:

— პარიზში თქვენ ყველა ეგრე იქცევით?

— არა, — უპასუხა ფრანგმა, — ჩვენში იმდენად ზრდილობიანი ხალხია, რომ მაგისთანა უბრალო საქმეს ყურადღებას არ აქცევენ.

●

— კლუბში მოდი, ბანქო ვითამაშოთ!

— ვერა ბატონო, ხეირი არ მექნება, თქვენ პირველი ბანქოს მოთამაშე ბრძანდებით.

— მაშ ნარდი?

— თქვენ საუცხოო მონარდე ბრძანდებით.

— მაშ, სულელობია ხომ არ გინდაო, რომ ვითამაშოთ?

— ვერც მაგას, რადგან პირველი სულელი ბრძანდებით.

●

— რა საყვარლად ჩაჰკვრიან ერთმანეთს ეს ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, ნეტა ვინ უნდა იყვნენ?

— ჩემი კაი ნაცნობები გახლავთ.

— ჯვარდაწერილები არიან?

— დიახ, მაგრამ ერთმანეთზე კი არა.

●

ახალგაზრდა ცოლს უსაყვედურებდა ახალგაზრდა ქმარი:

— ჩემო კარგო, ჩვენ რომ ასე ყოველდღე ვალები ავიღოთ, მალე გავკოტრდებით კიდეც!

— აბა, რა სისულელეს ამბობ, ჩემო ჭკუის კოლოფო, ის კი არ კოტრდება, ვინც ვალს ღებულობს, არამედ ის, ვინც ვალებს იხდის!

●

ერთს დარბაისელს ჰკითხა მეორემ;

— მიიღეთ თქვენი ფული თავად ახირანდოსაგან?

— აი, ღმერთიც ასე გაუწყრება იმას.

— რაო, არ გაგისწორდათ?

— გასწორებით კი გამისწორდა, მაგრამ ვაი ასეთ გასწორებას.

— რა იყო, კიდევ რამე ოინი ჩაიდინა?

— ჩაიდინა და მერე, წარმოიდგინე, ჩემი ქალი შეირთო. ის ფული ხომ აღარ მომცა, მზითევში მაინჭირა და ზედმეტი კიდევ ათასი თუმანი ქრთამი აიღო!..

●

— მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ მე უშჯულო მიწოდეთ, წაიღეთ უკან თქვენი სიტყვა.

— არ გაწყენინებ, სიტყვას უკან წავიღებ, მაგრამ ნუთუ ამით თქვენ ჭკუა მოგემატება?

მატიანის ერთი სტრიქონი

# მილთონები

როდესაც ვახტანგ მეექვსემ გადაჭრით განაცხადა უარი გამაჰმადიანებაზე, ამით ქართლის სამეფო ტახტი დაკარგა, მაგრამ ეს არ აკმარეს ყიზილბაშებმა და 1714 წლის გაზაფხულზე ისპაჰნიდან ქირმანს გადაასახლეს. სწორედ ქირმანში ყოფნისას შეუთხზავს ქართველ მეფე-პოეტს ვრცელი ლექსი, რომლის დასათაურება-კომენტარში ვკითხულობთ: „სალბუნად გულისა — მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდეგანქმნილი სალბუნად გულისა წყლულებათათვის მკურნალი თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ ქირმანს“.

ამ ლექსში ვახტანგ მეექვსე მწარედ მოსთქვამს თავისი სვე-ბედის უკუღმართობას, გმობს წუთისოფლის გაუტანლობას და სამშობლოდან გადახვეწილი გულისტკივილით ამბობს: დავკარგულვარ უცხო თემსა და აღარავინ დამეძებსო. მზით გავარვარებული უდაბნოს პირას, შორეულ ქირმანში გადასახლებულ ქართველ მეფეს ტკბილად აგონდება თბილისური მაისი, ვარსკვლავთა დარად აბდღვრიალებული ვარდები ზედ მოჰიკჰიკე, ტრფობისაგან დაბნედილი ბულბულებით და მწვანედ აღელვებული გარემო. შემდეგ დაწვრილებით იხსენებს ნადირობისა თუ თევზაობის ეპიზოდებს. დიდგორი და ლილოსტბა, კოჯორი და თრიალეთი, ყარაია და ლოჭინი — სათითაოდ ცოცხლდება მეხსიერებაში იქ გატარებული დღეები. ეს არის სამუდამოდ უკან დარჩენილი წარსული, აწმყოში ქირმანის ტყვეობაა და ვერც მომავალში ხედავს რაიმე სანუგეშოს ურვაშეპყრობილი მეფე-პოეტი.

გაოცებას ვერ მალავს ვახტანგ მეექვსე იმაზე, რომ იგი მტერმაც გაწირა და მოყვარემაც.

თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ? თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ? უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ. მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ.

მისი გაოცება კანონზომიერი და ბუნებრივია. ქართლის მეფობაზე დასამტკიცებლად ისპაანს ჩასული ვახტანგი ორი წელია თავგამოდებით უარობდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებას და ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაეჭირათ მისთვის, გაემხნევებინათ, ქართლის გავლენიანმა ფეოდალებმა შეატყობინეს ირანის შაჰს თავისი ხვაშიადი: „არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე.“ გამაჰმადიანებულ-გათათრებული იესე აძჯობინეს ვახტანგს — მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელ მებრძოლსა და ქართული კულტურის ამაგდარს, ხოლო სამღვდელოების მესვეურებმა თვით ვახტანგის ღვიძლი ძმის — კათალიკოს დომენტის თავკაცობით, ვახტანგს მოუწოდეს გამაჰმადიანებულიყო, თუკი სურდა ქართლის მეფობა. ამ ფაქტს გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი და აღშფოთებას გამოთქვამს კათალიკოს-ეპისკოპოსთა საქციელზე („ეჰა, უცხო...“) ასევე ეუცხოვება მათი მსჯავრი ვახტანგს („უცხო არის ჩემი საქმე...“)

ამგვარად, ზემოდ მოტანილ ვახტანგისეულ სტროფში ყველაფერი გასაგები ხდება, გარდა ერთი სიტყვისა.

„მილთონთა ვსჩან მეფედ მათად...“

ვინ არიან აქ მოხსენიებული მილთონები?

სიტყვა „მილთონი“ გვხვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საბუთებში. ერთ-ერთი მათგანი აღწერს ვინმე სულხან თუმანიშვილის ქონებას. რა არ არის ჩამოთვლილი ამ აღწერილობაში. — ყვითელი დიბის ტყავი, ოქროსა და ვერცხლის საათები, ძვირფასი თასები და თუნგები, ვერცხლით მოჭედილი სარკეები, ლისკოვის ტილო და ბოლოს, რაც მთავარია, მილთონის ჩითი!

ერთი მზითვის სია ფირუზ-ზურმუხტის ბეჭდებსა და სხვა განძეულობასთან ერთად ასახელებს „მილთონის ჩითის კაბას“.

არსებობს ცნობა, რომ XVIII საუკუნის დამლევს თბილისში ყოფილა „მილთონის ქარვასლა“.

მილთონთა ვინაობა იცოდნენ ვახტანგის დროინდელ საქართველოშიც.

ამაზე მიგვითითებს ე. წ. „ჯულაბაშვილების დავთარი“. ჯულაბაშვილები ცნობილი გორელი ვაჭრები ყოფილან. ისინი უცხოეთის ქვეყნებშიც ვაჭრობდნენ. დავთარი იხსნება პაპუნა ჯულაბაშვილის ჩანაწერით, რომელიც დათარიღებულია 1722 წლით. ისპაანს ჩასული პაპუნა აღნიშნავს, რომ მილთონს მისი მამის — გიდერძის თამასუქი ჰქონია (სამი თუმნისა), მაგრამ იმ თამასუქის პატრონი მილთონი მომცვდარა და თამასუქი ახლა სხვა მილთონის ხელში არისო.

„მილთონი“ ინგლისური წარმოშობის გვარი უნდა იყოს. მაშასადამე, ჯულაბაშვილებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ირანში მყოფ ინგლისელ ვაჭართა საგვარეულოსთან.

ამრიგად, მილთონებს ვაჭრად იცნობენ საქართველოში და ცნობილია [illegible] ისინი ქირმანში გადასახლებულ ვახტანგს?

საქმე ისაა, რომ იმ ხანებში, როდესაც ქართველი მეფე ქირმანს იმყოფებოდა, ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას იმავე ქირმანში გაუმწესებია ინგლისელი ვაჭრები იმ მიზნით, რომ მათ შეესყიდათ სახელგანთქმული ქირმანული თხის ბალანი, აგრეთვე გაეყიდათ კომპანიის ნაწარმი: მაუდი თუ სხვა საქონელი (1719 წელს ავღანთა ტომის წინამძღოლის მირ-მაჰმუდის ქირმანში შემოსევისას ხსენებული ინგლისელი ვაჭრები ქირმანის ბეგლარბეგთან ერთად გამოქცეულან ისპაანისაკენ).

მართალია ქირმანში უშუალოდ მილთონთა ყოფნა არაა აღნიშნული წყაროებში, მაგრამ ადვილი დასაშვებია, რომ ისინიც ვიგულოთ ქირმანს მოღვაწე ინგლისელ ვაჭართა შორის.

შესაძლოა ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ ისპაანში შეხვედროდა ინგლისელ ვაჭრებს — მილთონებს და მაშინდელი შთაბეჭდილების ხნარეკლი იყოს ქირმანში შეთხზული ლექსის სტრიქონი, მილთონებს რომ მოიხსენიებს.

ასეა, თუ ისე, ვახტანგს იმის თქმა სურს, რომ ინგლისელი მილთონები მიიჩნევენ მას ქართველთა მეფედ, ხოლო თვისტომთ მისი „გაქრობა“ სწადიათ.

ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას აზიისა და ევროპის ქვეყნებში გაჰქონდა ინდური საქონელი: ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები, აბრეშუმის ყაჲი, შაქარი, გვარჯილა, ოპიუმი და სხვა. მილთონთა შეხვედრა ირანში მყოფ ქართლის მეფესთან იქნებ იმას ისახავდა მიზნად, რომ მისი შემწეობითა და მფარველობით ინგლისელ ვაჭრებს გარკვეული პრივილეგიები მოეხვეჭათ საქართველოს ტერიტორიაზე.

სამწუხაროდ, ხსენებულ მილთონთა შესახებ არაფერს გვამცნობს „ბრიტანეთის ენციკლოპედია“ მილთონის ფირმა კი დღესაც არსებობს ინდოეთში და თავისი საქონელი ჩვენს ქვეყანაშიც შემოაქვს.

**თამაზ ნატროშვილი**



# დიდი სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ბუნებისმეტყველი-ევოლუციონისტი ამერიკელი მეცნიერი ჯორჯ გაიორლდ სიმპსონი ლეო დავითაშვილის ევოლუციური პალეონტოლოგიის ფუძემდებლის ვ. კოვალევსკის გვერდით აყენებს: „მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ კოვალევსკისა და ასევე თქვენი“,— წერს იგი ლ. დავითაშვილს. მეორე ამერიკელი პალეონტოლოგი-ევოლუციონისტი ს. გოულდი გულახდილად აღიარებს, რომ ლ. დავითაშვილმა ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ წამოაყენა და დაამუშავა თეორიული დებულებები, რომლებიც ამერიკელ პალეონტოლოგთა უმრავლესობამ დღეს ახლად „აღმოაჩინა“. თანამედროვე პალეონტოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინამძღოლთაგანი, პოლონელი რ. კოზლოვსკი აღტაცებით ეგებება ლ. დავითაშვილის ყოველი ახალი გამოკვლევის გამოქვეყნებას; „გაოცებას იწვევს თქვენი არაჩვეულებრივი ერუდიცია“... „აღტაცებული ვარ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობით,“ — წერს პოლონელი პალეონტოლოგი ქართველ მეცნიერს. ასეთსავე აღტაცებას გამოთქვამენ მისი მეცნიერული ერუდიციისა და არაჩვეულებრივ ნაყოფიერი მუშაობის გამო და მაღალ შეფასებას აძლევენ მის გამოკვლევებს, კერძო წერილებსა თუ გამოქვეყნებულ რეცენზიებში, სახელმოხვეჭილი ნიუ-იორკელი გენეტიკოსი თ. დობჟანსკი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ოლსონი, რუმინელი ბიოლოგი კ. მოტაში, ფრანგი ფილოსოფოსი პ. ბუატო, ბულგარელი ი. კარაგეორგიევი, ცნობილი საბჭოთა ბოტანიკოსი ა. ი. ტოლმაჩოვი, აკადემიკოსი ა. ლ. იანშინი და ბევრი სხვა.

ასეთი დიდი სახელი და საყოველთაო აღიარება ქართველ მეცნიერს მოუპოვა, უპირველეს ყოვლისა, შრომებმა პალეობიოლოგიის თეორიული პრობლემების დარგში.

ჯერ კიდევ ორმოციან წლებში მან გამოაქვეყნა ევოლუციური თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი საყურადღებო გამოკვლევები, რომელთაგან ერთმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურა; «Развитие идей и методов, после Дарвина» (М., 1940), ემანუილ იაროსლავსკის აზრით ამ „უაღრესად საინტერესო წიგნში მხილებულია დასავლეთის ძრავალი ბიოლოგიის რეაქციონული თეორია“.

დიდი სამამულო ომის წლებში ლ. დავითაშვილი განაგრძობდა პალეობიოლოგიის თეორიული საკითხების ინტენსიურ კვლევას. 1943 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი «Дарвинизм и проблема накопления горючих ископаемых», (თბილისი), ხოლო 1948 წელს — ფუნდამენტური შრომა. «История Эволюционной палеонтологии от Дарвина до наших дней» (М., 1948), რომელსაც 1949 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ს. კ. კაფტანოვი გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამ წიგნში ევოლუციური პალეონტოლოგიის ძირითადი პრობლემები დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან არის გაშუქებული. ლ. დავითაშვილმა დიდ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზა ევოლუციური მოძღვრების მდგომარეობა უცხოეთსა და საბჭოთა კავშირში და პირველად დასახა ამ მოძღვრების აქტუალური პრობლემების დარვინიზმის საფუძველზე კვლევის გზები.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ლ. დავითაშვილის საბოლოოდ დაბრუნება საქართველოში, სადაც მან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დააარსა პალეობიოლოგიის სექტორი. აქ მან კიდევ უფრო ფართოდ გაშალა პალეონტოლოგიის თეორიული საკითხების აღრევე დაწყებული კვლევა-ძიება. ლ. დავითაშვილმა პირველად დაასაბუთა პალეონტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით თეორიული ბიოლოგიის ისეთ კარდინალურ პრობლემათა კვლევის შესაძლებლობა, როგორიცაა სქესობრივი გადარჩევისა და პროგრესის პრობლემები. კიდევ მეტი, მან დაამტკიცა, რომ ამ პრობლემათა შესწავლაში პალეობიოლოგიას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის, რომ სწორედ ამ მეცნიერებას ეკისრება თანამედროვე ევოლუციური მოძღვრების შემდგომი წინსვლის ავანგარდობა.

ამ გამოკვლევათა მკაფიოდ გამოხატული იდეოლოგიური მიმართულება მხედველობიდან არ გამორჩენია დასავლეთელ მეცნიერებს. და თუ მან ფრანგი ფილოსოფოსის ბუატოს მოწონება დაიმსახურა, ამას ვერ ვიტყოდით ამერიკელ პალეონტოლოგ ე. ოლსონზე. მაგრამ ერთიც და მეორეც, ისევე როგორც ლ. დავითაშვილის ბევრი სხვა თანამოაზრე და მოწინააღმდეგე, ერთხმად აღიარებს მის თეორიულ გამოკვლევათა უაღრესად დიდ მეცნიერულ ღირებულებას. ჯ. გ. სიმპსონი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში გაბატონებული და ლ. დავითაშვილის მიერ მკაცრად გაკრიტიკებული სინთეტიკური ევოლუციის თეორიის ერთი შემქმნელთაგანია, მის შრომებს ორგანიზმთა ამოწყდომისა და ევოლუციური პროგრესის შესახებ „უაღრესად საინტერესო“ და დიდად „სასარგებლო“ გამოკვლევებად მიიჩნევს. თავის ერთ-ერთ უახლეს პუბლიკაციაში სიმპსონი აღნიშნავს, რომ მას არ ეგულება მეორე თანამედროვე გამოკვლევა ევოლუციის საკითხებზე, რომელიც ისეთ მდიდარ მასალასა და ვრცელ დისკუსიას იძლეოდეს, როგორიცაა ლ. დავითაშვილის „მოძღვრება ევოლუციურ პროგრესზე“. ბულგარელი გეოლოგი ე. ცანკოვი თვლის, რომ ამ წიგნის გამოქვეყნება მსოფლიო პალეონტოლოგიის დიდი წარმატებაა; ხოლო ამერიკელი პალეონტოლოგი ს. გოულდი ლ. დავითაშვილის სქესობრივი გადარჩევისადმი მიძღვნილი წიგნის გამოქვეყნებას საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების შემობრუნებად მიიჩნევს. ცნობილი ავსტრალიელი გეოლოგი და პალეონტოლოგი მ. გლესნერი აცხადებს, რომ ევოლუციის პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართველი მეცნიერის შრომები მას აოცებს და აღაფრთოვანებს. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევენ ლ. დავითაშვილის თეორიულ გამოკვლევებს ამერიკელი პალეონტოლოგი მ. ელიასი, ჩეხი პალეონტოლოგი ვ. პოკორნი, ბუენოს-აირესელი პროფესორი კ. ბოლტოვსკოი, უპსალელი პროფესორი ლ. ს. დილონი და ბევრი სხვა. ბუნებრივია ამიტომ, რომ ლ. დავითაშვილის „ორგანიზმთა ამოწყდომის მიზეზების“ რუმინულ ენაზე ახლახან გამოქვეყნებული თარგმანის წინასიტყვაობაში ბუქარესტელ ბიოლოგს, პროფ. კ. მოტაშს სრული საფუძველი ჰქონდა მიეჩნია ქართველი მეცნიერი საბჭოთა ევოლუციონისტური სკოლის დამაარსებლად. ცნობილი საბჭოთა ბიოლოგი, პროფ. ა. სტუდიტსკი ევოლუციური პროგრესისადმი მიძღვნილი წიგნის გამო ლ. დავითაშვილს წერს: „ეს არის ახალი დიდი წვლილი ბიოლოგიაში დარვინიზმისათვის ბრძოლის იმ დიად საქმეში, რომელსაც თქვენ მეთაურობთ“.

ლ. დავითაშვილის თეორიულ შრომებს ორგანულად უკავშირდება მისი გამოკვლევები პალეონტოლოგიის ისტორიის დარგში. აქ უნდა აღინიშნოს მისი შესანიშნავი წიგნი «В. О. Ковалевский» (1946), რომელიც 1951 წელს მეორედ გამოიცა (საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

ასევე დიდია ლ. დავითაშვილის წვლილი მოლუსკების პალეონტოლოგიისა და ისტორიული გეოლოგიის საკითხების კვლევის დარგში. ჯერ კიდევ 30-იან წლებში მან გამოაქვეყნა რიგი მონოგრაფიებისა ყირიმ-კავკასიის ნავთობიანი პროვინციის მესამეულის სახელმძღვანელო ნამარხების შესახებ და წიგნი «Обзор моллюсков третичных и послетретичных отложений Крымско-Кавказской нефтеносной провинции» (М., 1933), რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. პალეონტოლოგიურ შრომებში ლ. დავითაშვილი დიდ ყურადღებას უთმობს ნამარხ ორგანიზმთა ფილოგენიასა და ეკოლოგიას, ზღვიურ ფაუნათა წარმოშობასა და ისტორიულ განვითარებას და ამ პროცესთა კანონზომიერებებს. ამ საკითხთა ირგვლივ მან ბევრი ახალი და ფრიად საყურადღებო თქვა, რაც შემდგომ დაადასტურეს და განავითარეს მისმა მოწაფეებმა.

ლ. დავითაშვილმა გამოყო შავი ზღვა-კასპიის ზღვის მესამეულის ორი დიდი გავრცელების მქონე ჰორიზონტი, საყარაულო და კოწახური. დღეს საბჭოთა კავშირის ნეოგენის სკალაში საყარაულო და კოწახური ფიგურირებს როგორც ადრე მიოცენის ორი დამოუკიდებელი სართული. გეოლოგიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მის მიერ გამოყოფილმა ევპატორიის ჰორიზონტმა და ქართველურმა შრეებმა.

ლ. დავითაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეა პალეონტოლოგიის სახელმძღვანელოების შედგენა. მან 1933 წელს გამოაქვეყნა ორიგინალური სახელმძღვანელო «Палеонтология» (М.), რომლის დიდი უპირატესობა ყველა სხვა არსებულ პალეონტოლოგიის სახელმძღვანელოსთან იმდენად ნათელი იყო, რომ სულ მალე საჭირო გახდა ამ წიგნის ხელახლად გამოცემა; მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა 1936 წელს გამოქვეყნდა. პირველ სახელმძღვანელოს მოჰყვა პალეონტოლოგიის კურსის („Курс палеонтологии“, М., 1941) გამოქვეყნება. (ამ წიგნის ბევრად უფრო ვრცელი და საფუძვლიანად გადამუშავებული გამოცემა 1949 წელს გამოქვეყნდა); 1936 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო ქართულად ითარგმნა (თბილისი, 1938), ხოლო პალეონტოლოგიის კურსის მეორე გამოცემა სხვადასხვა დროს ითარგმნა ჩინურ, რუმინულ, ვიეტნამურ, ალბანურ და სერბიულ ენებზე.

ლ. დავითაშვილმა 1958 წელს გამოაქვეყნა პალეონტოლოგიის მოკლე კურსი («Краткий курс палеонтологии», М.), რომელიც საბჭოთა კავშირში ბოლო წლებამდე პალეონტოლოგიის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო.

1950 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პალეობიოლოგიის სექტორი ჩამოაყალიბა, რომელიც 1957 წელს პალეობიოლოგიის ინსტიტუტად გარდაიქმნა. ამ ინსტიტუტს იგი დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს.

ამ ცოტა ხნის წინ ლ. დავითაშვილს 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს. სულ ახლახან გამოქვეყნდა მისი და ბულგარელი გეოლოგის კრასიმირა ზახარიევას დიდად საინტერესო წიგნი «Происхождение каменных лесов» (Тбилиси, 1975).

ასეთია ლ. დავითაშვილის წვლილი მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდის დიდ საქმეში. მის ახლო მოწაფეებსაც კი გვიკვირს, როგორ შესძლო მან ასეთი უზარმაზარი სამუშაოს შესრულება. ცხადია, რომ იშვიათი ნიჭისა და მრავალმხრივი ღრმა ცოდნის გარდა, აქ გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა მეცნიერებისადმი მის თავდავიწყებულ სიყვარულსა და განსაკუთრებულ მიზანსწრაფვას.

**ლ. გაბუნია**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

# ჯარისკაცები

მოთხრობა

ცისფერთვალება, მზისგან გარუჯული ჯარისკაცი ბექობზე წამომჯდარა. ბოლომდე ჩაუხსნია ფარაჯის ღილები. აღარც ქამარი უჭერს.

ჩამავალი მზით გაწითლებულა დასავლეთი. გზისპირას ყანებია, ყანებს იქეთ — ხეები და მერე — სოფელი.

ჯარისკაცს სტეპების მცხუნვარე მზე აგონდება. დიდი და უსაზღვრო სივრცე, გრძელი და დამღლელი გზა უჩვეულოდ გრილი, თეთრი ღრუბლების ჩრდილი. ჯარისკაცს თავისი სოფელი აგონდება. ირგვლივ პურის ყანებით, ყანებით და ისევ ყანებით, მწიფე თავთავებით დამძიმებული მიწა ... მზესუმზირები, უამრავი მზესუმზირები.., ყვავებით დახუნძლული ტელეგრაფის მავთულები ...

მდოვრედ მიედინება მისი სოფლის მდინარე. დასავლეთისაკენ მიცურავენ ლეგა ღრუბლები. სადღაც ყვავები ჩხავიან. ღამის ნისლი რომ დაჰკრავს ტრამალს, ირგვლივ სიცარიელე და სიმყუდროვე დაისადგურებს. მთვარე მიწისკენ დაექანება და მერე ხელისმიწვდენამდე ასე დარჩება. მთვარესა და მიწას შორის ძაღლი გაეხირება, ბომბორა ძაღლი.

ასე მოეჩვენა ერთხელ ...

მთვარეს უყეფდა ძაღლი.

მერე პურის ყანებში ხეტიალით დაღლილი თივის ზვინთან იწვა. ძილში მთელი ღამე ქალაქი ესიზმრებოდა — დიდი სანავსადგურო ქალაქი. ნავსადგურში დინჯად შემოდიოდნენ გემები.

ჯარისკაცს რაღაც უხარია, განიცდის.

ყანებს იქეთ აგვისტოს მზე ჩადის. ყანებს ზეფირი ალივლივებს. ყანიდან ორნი გამოდიან ბოლომდე ჩახსნილი ფარაჯებითა და მოშვებული ქამრებით.

— პეტრო! — იძახის ერთი და ხელს უქნევს ჯარისკაცს.

ჯარისკაცი დგება.

— რატომ არ წამოხვედი? — ეკითხება დაბალი ჯარისკაცი.

— რა წყალი იყო ... — სველ თმაზე ხელს ისვამს მეორე.

პეტრო იღიმება.

— აქ ჯდომა და ფიქრი გერჩია ხომ? — არ ისვენებს დაბალი ჯარისკაცი.

— იფიქრე, იფიქრე, ჩემო ძმაო, საფიქრალი ბევრი გაქვს, — მერე პეტროს ხელს ხვევს და მეგობრულად ეძიძგილავება.

დაბალი ჯარისკაცი გრძნობს პეტროს დაკუნთულ სხეულს.

„რა ძლიერია ეს ოხერი“, — ფიქრობს გულში.

* * *

ყანისპირს სოფლის გზაა. გზაზე გოგო მიაბიჯებს. წითელკოპლებიანი უსახელო კაბა აცვია. ჩქარობს. უკან გამხდარი, პატარა ბიჭი მიყვება. ბიჭი არ ჩქარობს. ბიჭს ფიქრიანი თვალები აქვს. ცალ ხელში სახრე უჭირავს და მტვრიან გზაზე ზიგზაგ ხაზებს ავლებს.

ბექობზე ჯარისკაცები დგანან. დაბალი ჯარისკაცი ქალიშვილს უყურებს.

— გენაცვალე, — თავისებურად უქცევს პეტრო — ერთი აქეთ მოგ'ხედე, გენაცვალე!

ბიჭი ჩერდება და ჯარისკაცს დაბღვერილი უყურებს.

„აბა კიდევ გაბედოს ...“

— კაცო, ბოდიში, კაცო, — დაბალი ჯარისკაცი გულიანად იცინის, თავს ხრის, მკერდიდან ხელს იღებს და აღმოსავლური წესისამებრ წელში იხრება.

ბიჭი არაფერს ამბობს, დგას და დაბღვერილი იყურება.

„იმ ცისფერთვალებას ვიცნობ. სოფლის ბოლოში შემხვდა ერთხელ. რომელიღაც სიმღერის მოტივზე სტვენდა და ჯიბის დანით რაღაცას თლიდა, როცა დამინახა, გამიღიმა და ხელი დამიქნია. ბალი მივაწოდე, აიღო და მადლობა მითხრა. ახლა კი ვერ მიცნო.“

პეტრო ბიჭს უყურებს და უკვირს: რა ფიქრიანი თვალები აქვს. მერე ბიჭის დაუინებული მზერა იგრძნო. თვალი აარიდა. „ალბათ, ამ ბიჭის დაა!“ — გაიფიქრა.

— წავედით, გვაგვიანდება! — ფარაჯის ღილები შეიკრა და ქამარი შემოიჭირა. პეტრო პირველი ჩავიდა ბექობიდან.

— რას იზამ? — თითქოს დანანებით ჩაილაპარაკა დაბალმა ჯარისკაცმა, — დისციპლინა მთავარია ჯარში!

ყანებს შეერივნენ. პეტროს უნდოდა უკან მოეხედა, მაგრამ არ მოუხედავს.

ბიჭი იდგა და გაჯავრებული უყურებდა მათ.

ქალიშვილი კარგა მანძილით დაშორებოდა ბიჭს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

„ასე პატარაა და რა დიდი გული აქვს“, — ფიქრობდა გოგო ბიჭზე და იღიმებოდა.

* * *

ბიჭი მარტო მიდიოდა. სოფელი სულ ახლოს იყო. ისმოდა ძროხების ბღავილი, ქათმების კრიახი. ბიჭი ისევ იმ ცისფერთვალება ჯარისკაცზე ფიქრობდა.

თვითმფრინავის გუგუნმა გამოაფხიზლა.

ვერცხლისფერი თვითმფრინავი დაბლა ეშვებოდა. უსიამოვნოდ ხმაურობდა ცა. სხვა დროს საათობით იდგა ბიჭი და უყურებდა, როგორ ჯდებოდა თვითმფრინავი; ახლა თითქოს შეეშინდა.

ბიჭი ხედავდა აგურის შენობებს იქეთ რაღაც ფრთებიანი მექანიზმი როგორ ბრუნავდა. ბიჭმა იცოდა, რომ იგი ცის სიმშვიდეს დარაჯობდა. იცოდა, რომ იგი შეუცდომლად საზღვრავდა ცის რომელი მხრიდან რა თვითმფრინავი მოფრინავდა, მამამ უთხრა ეს ბიჭს; ბიჭი იმასაც ხედავდა, სადამოობით წელზევით შიშველი ჯარისკაცები როგორ თამაშობდნენ რიგზე ჩამწკრივებულ თვითმფრინავებთან ბურთს. ბიჭს რაღაცა იზიდავად მათკენ.

თვითმფრინავი ნელა დაეშვა.

ბიჭმა მაღლა აიხედა. სიმშვიდე დაუფლებოდა ცას.

— ისე, ეს აეროდრომი კარგი არაა ჩვენთვის, — გაახსენდა ბიჭს ცალხელა დომენტის სიტყვები, — სადმე რომ რამე მოხდეს?!.

— არც მასეა საქმე, ჩემო დომენტი, — იტყოდა ბიჭის მამა და მარცხენა მხარი აუტოკდებოდა. ომის დროს მარცხენა მხარში ყუმბარის ნამსხვრევი ჰქონდა მოხვედრილი და ჭრილობა ზოგჯერ თავს ახსენებდა.

დომენტი ბიჭის მეზობელია. მან ომში დაკარგა მარჯვენა ხელი.

ბიჭი მიჰყვებოდა სოფლის გზას და ვერ გაეგო, რა იყო ცუდი იმაში, რომ აეროდრომი ახლოს იყო სოფელთან.

„სახლში მივალ და მამას ვკითხავ“, — გაიფიქრა მან.

უკან მოიხედა.

წითელვარსკვლავიანი ვერცხლისფერი თვითმფრინავი ხმაურით მოწყდა მიწას და ცის სილურჯეს შეერია. აგუგუნდა და თითქოს გაიბზარა ცა.

ბიჭს ჯარისკაცები გაახსენდა, გაახსენდა და რაღაცა ინანა.

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

# სიახლენი ლაბორა-ტორიებში და კლინიკებში

## საზამთროს წვენი

საზამთროს წვენის შენახვა ბოლო დრომდე შეუძლებლად იყო მიჩნეული: დაკონსერვების შემდეგ იგი მკვეთრად იცვლებოდა და უგემური ხდებოდა.

საბჭოთა სპეციალისტებმა წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა. გამოირკვა, რომ დაკონსერვებული საზამთროს წვენი დიდხანს შეინარჩუნებს თავის არომატულ გემოს, თუ კი მას ცოტაოდენ ვაშლის პიურესა და ლიმონის სიმჟავეს დავუმატებთ.

სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ და ცენტრალურმა სადეგუსტაციო კომისიამ რეკომენდაცია მისცა საზამთროს წვენის მასობრივად გამოშვებას.

უახლოეს ხანში მილიონ ქილაზე მეტ საზამთროს წვენს გამოუშვებენ ასტრახანის ოლქში.

## სიახლე ქირურგიაში

ქირურგიულ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ოპერაციის დროს აუცილებელია გავაციოთ ავადმყოფის სხეულის ესა თუ თუ ის ნაწილი.

გამომგონებლებმა ა. კულიევმა და ს. ნ. ნადირზადემ სპეციალისტებს შესთავაზეს ამ მიზნით გამოეყენებინათ მათ მიერ შექმნილი ორიგინალური აპარატი „კრიოპლასტი“.

აპარატი საჭირო ტემპერატურას იძლევა სპეციალური ელასტიკური თერმოელემენტის საშუალებით.

## „ნორა“

ლატვიაში დაიწყეს ახალი პრეპარატის გამოშვება, რომელსაც „ნორა“ შეარქვეს. პრეპარატი საშუალებას იძლევა, რომ ახლად მოკრეფილ ყვავილებს, ოთახის პირობებში, რამდენჯერმე გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე.

„ნორა“ შეიცავს ფიზიოლოგიურ აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც [illegible] ლირებენ ტენის აორთქლებას, [illegible] ყვავილებს და ა. შ.

წყალში, რომელშიც „ნორა“ გახსნილი, [illegible] ორ კვირაზე მეტ ხანს სძლებს, მიხაკი მთელი თვე გამოიყურება ცოცხლად...

ახალი პრეპარატი ყვავილებს ბუნებრივ შეფერილობასაც უნარჩუნებს.

## წყალქვეშა ფოტოავტომატი

ქერჩელმა სპეციალისტებმა გულმოდგინე მუშაობის შემდეგ შესძლეს დაემზადებინათ ფოტოავტომატი, რომელიც საშუალებას იძლევა წყალქვეშ ღრმა სიმაღლეზე გადავიღოთ ფოტოსურათები.

უნიკალური ფოტოავტომატით სწავლულები ახლა 2.000 მეტრის სიღრმეზე აწარმოებენ გადაღებებს. მეცნიერები დიდი რაოდენობით იღებენ ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია ზღვებისა და ოკეანეების ფსკერების რელიეფი, მათში მობინადრე არსებათა ცხოვრების ამსახველი სურათები, მეცნიერებისათვის საინტერესო სხვა ძვირფასი მონაცემები.

# თითქმის დაუჯერებელი

●

ჩიკაგოელმა მშენებლებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს: ქალაქში ააშენეს 448 მეტრი სიმაღლის ცათამბჯენი, რომელიც ყველაზე მაღალი შენობაა მთელს მსოფლიოში.

●

რომში, სადაც ძალიან ცოტაა მწვანე ნარგავები, ბაღებიდან და სკვერებიდან უამრავ ხეებსა და ბუჩქებს იპარავენ.

მარტო უკანასკნელ ხანებში, ქურდებმა იტალიის დედაქალაქში ღამით ამოთხარეს და მოიპარეს 1.680 ხე.

●

შობადობის პროცენტი ამჟამად ყველაზე დაბალია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ბავარიის ერთ-ერთმა ბურგომისტრმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი დაქორწინების რეგისტრაციის უფლებას მხოლოდ იმ ქალ-ვაჟს მისცემს, რომლებიც წერილობით ივალდებულებენ, ორ წელიწადში ერთი ბავშვი მაინც გააჩინონ.

●

გამოანგარიშებით დადგინდა, რომ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახებიდან სამუდამოდ გაქცეულ ყოველ სამ ქმარზე — ოჯახიდან სამუდამოდ გაქცეული მხოლოდ ერთი ცოლი მოდიოდა.

ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა: ამერიკული ფირმა „ტრეისერს კომპანი ივ ამერიკა“, რომელიც დაკარგულ ადამიანებს დაეძებს, ოჯახებიდან გაქცეულ ქმრებთან შედარებით, ორჯერ უფრო მეტ თხოვნებს იღებს ოჯახებიდან გაქცეული ცოლების მოსაძებნად.

●

უკანასკნელ ხანებში ინგლისში კატასტროფულად გაიზარდა კარტოფილის ფასი.

ლონდონის ბევრი მცხოვრები იძულებული გახდა პატარა ნაკვეთებსა და ეზოებში დაეთესა კარტოფილი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისში უკანასკნელ ხანებში კარტოფილი უფრო ძვირი ღირს ვიდრე ვაშლი და ფორთოხალი.

●

რიო-დე-ჟანეიროში წელს ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ტრადიციული კარნავალი, რომელშიც ბრაზილიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრების გარდა, უცხოელი ტურისტებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კარნავალმა ისეთ „მეგობრულ“ ვითარებაში ჩაიარა, რომ დაშავდა 10.000-ზე მეტი ადამიანი, 18 კაცი კი სიცოცხლეს გამოესალმა.

●

შვედი პარიკმახერი ულფე გორნასე კარგა ხნის განმავლობაში საკმაოდ ძვირად ყიდდა მის მიერ „გამოგონებულ“ წამალს, რომელსაც თმის ამოყვანის უებარ საშუალებად ასაღებდა.

პოლიციამ, რომელმაც ამხილა გამდიდრებული პარიკმახერის სიყალბე, დაადგინა, რომ „თმის ამოყვანის უებარი წამალი“ დამძაღებული მარგარინისა და იაფფასიანი ქიმიკატების ნაზავისაგან შესდგებოდა.

●

შვეიცარიელი მოქალაქე კამილ როსიე, რომელიც მაყურებელთა წინაშე ფაკირ ალი ბელ კამელიას სახელით გამოდის, 1954 წლიდან ყლაპავს საპარსების დამტვრეულ ხაწილებს.

თავისი დაბადების ორმოცდაათი წლის აღსანიშნავად, ალი ბელ კამელიამ, მოწმეთა თანდასწრებით, ორმოცდამეათიათასე საპარსი გადაყლაპა.

●

ბრაზილიის იუსტიციის სამინისტროს ცენზურის განყოფილებამ კატეგორიულად აკრძალა ს. პროკოფიევის სატელევიზიო ფილმ-ბალეტის „რომეო და ჯულიეტას“ დემონსტრირება.

ეს ნაწარმოები მოსკოვის დიდი თეატრის 200 წლისთავის აღსანიშნავად უნდა ეჩვენებინათ ტელევიზიით.

„რომეოსა და ჯულიეტას“ ხაცვლად პროგრამაში შეიტანეს... ამერიკული პორნოგრაფიული კომედია.

●

ნიუ-იორკის პოლიციამ ამას წინათ ქურდობისათვის დააპატიმრა... მაიმუნი, რომლის სახელია ლილი. მაიმუნთან ერთად დააპატიმრეს მისი პატრონიც

როგორც გამოირკვა, ლილი შეუმჩნევლად იპარებოდა ღვინის ქარხანაში, მოხერხებულად ძვრებოდა აფიცრულ კედელზე და თავის პატრონს სწრაფად აწოდებდა ვისკითა და ღვინით სავსე ბოთლებს.

●

დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ სანკტ-ინგბერტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მნიშვნელოვნად შეუმცირეს წიგნების შესაძენი თანხა.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ორიგინალური „გამოსავალი“ მონახა. მან თხოვნით მიმართა აბონენტებს, რომ რაც შეიძლება ნელა იკითხონ, წიგნები და იშვიათად მივიდნენ ბიბლიოთეკაში ახალი წიგნების გასატანად.

●

გაზეთი „ნოიე ცაიტი“ წერს, რომ ალკოჰოლიზმი ავსტრიის ნაციონალურ ტრაგედიად გადაიქცა.

თითოეულ მოსახლეზე ღვინის ყოველწლიური მოხმარება 1950 წელს საშუალოდ 15 ლიტრს შეადგენდა, 1957 წელს კი ღვინის მოხმარება თითოეულ ავსტრიელზე 50 ლიტრამდე გაიზარდა.

ქვეყანაში ამჟამად 100 ათსამდე გამოუსწორებელი ალკოჰოლიკია.

●

ლონდონის გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ ლივერპულის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს დაუსვა ასეთი კითხვა: რა იცით შექსპირის შესახებ?

„არაფერი“, — ასეთი იყო ერთი მოსწავლის პასუხი; „იგი ფილმებს დგამდა“, — ასეთი იყო მეორე მოსწავლის პასუხი; მესამე მოსწავლე ღრმად არის დარწმუნებული, რომ შექსპირმა მომაკვდავ გედებზე დაწერა დიდებული პიესა, რომელსაც „გედების ტბა“ ჰქვია...

●

ქალაქ ბოსტონის ხელისუფლებმა საშემოსავლო თანხის გაზრდისათვის შემოიღეს ახალი უცნაური კანონები. ერთ-ერთი კანონი ითვალისწინებს, რომ დაჯარიმდნენ ის პატრონები, რომელთა ძაღლები გასეირნების დროს დასვრიან ქალაქის ქუჩებს, ბაღებს, სკვერებს, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ტანკი" ფალავანი

ბუდაპეშტის სპორტის სასახლე მაყურებელს ვერ იტევდა. სსრ კავშირისა და უნგრეთის კლასიკური სტილის ფალავანთა შერკინებამ, მართლაც, რომ უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ხალიჩის ერთ კუთხეში სანდომიანი სახის თმაშევერცხლილი „ჰერკულესი" დგას. იგი თავისი მრისხანე მეტოქის — მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის „რკინის უნგრელად" წოდებულის დ. კოვაჩის გამოჩენას ელოდება. შალვა ჩიხლაძე წამით ფიქრებში ჩაიძირა. თავისი ბავშვობა მოაგონდა. ცხენიდან რომ გადმოვარდა და სამუდამოდ დაიზიანა მარცხენა ხელი. გაახსენდა ექიმის ორაზროვანი ღიმილი, როდესაც დასტაქარმა ფალავნის მოღვაწეობა საჭიდაო ხალიჩაზე დასრულებულად მიიჩნია. მოაგონდა 1941 წლის იანვრის ღამე, როდესაც გერმანელ ფაშისტებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის ტყვიამ ისევ დაუზიანა ნატკენი მარცხენა. გაახსენდა, ჰოსპიტლის ექიმს რომ შეპირდა, სწორედ ამ ხელით ხალიჩას ბეჭებით გააკრავდა მსოფლიო ჩემპიონს.

შალვა ჩიხლაძე ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როდესაც მსაჯმა მისი გვარი ახსენა. ქართველმა ფალავანმა პირდაპირ მდგომი მეტოქე დაინახა და ღიმილით დაიძრა მისკენ. ხელი ჩამოართვა უნგრელთა კერპს და „საქმეს შეუდგა".

დარბაზი გაინაბა, თორმეტი ათასი წყვილი თვალი საჭიდაო ხალიჩისაკენ იყო მიმართული. პირველი შეტევა უნგრელმა წამოიწყო და ჩიხლაძე ხიდურზე აღმოჩნდა, „რკინის ხიდის" ჩატეხა კოვაჩმა ვერ შეძლო და მეტოქეებმა ისევ დგომში გააგრძელეს ბრძოლა. ახლა საჭირო იყო წაგებულის დაბრუნება, რადგან მასპინძლის აქტივში ორი მომგებიანი ქულაა და კოვაჩი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მოგროვილ „კაპიტალს". ჩიხლაძე აუჩქარებლად მოქმედებდა, მაყურებელს ზოგჯერ ეჩვენებოდა კიდეც, საბჭოთა მოჭიდავე დამარცხებას შეურიგდაო. ქართველ ფალავანს მეტოქის ყურადღების შესუსტება სურდა.

უნგრელი გოლიათი გადამწყვეტი იერიშისათვის მოემზადა. კრიტიკულ მომენტში მეტოქეს ხალიჩიდან გასვლა რომ ვერ მოესწრო, ჩიხლაძე სარბიელის ცენტრისაკენ გაიტყუა. სწორედ იმ დროს, როდესაც მასპინძელმა გადამწყვეტი მოქმედება დაიწყო, თბილისელი წელში შეუვარდა მოწინააღმდეგეს, რკინის მარწუხებში მოაქცია და უკუგდებითი ილეთით მაღალ ხიდურზე შეაყენა. კიდევ რამდენიმე წამიც და ჩიხლაძემ ბეჭებით გააკრა მეტოქე ხალიჩას. ფალავანმა შეასრულა თავისი სიტყვა!

...რიონის პირას ქუთაისში ქვიშაში ჭიდაობდნენ ბიჭები. ერთ დილას თანატოლებთან ქოშინით მიიჭრა ჭაბუკი და ახარა: ქუთაისის ცირკში გამოჩენილ მოჭიდავეთა შერკინებაა დანიშნულიო. ბიჭებმა, რომელთა შორის შალვაც იყო. ასპარეზობის ადგილს მიაშურეს. ბავშვები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს კუნთმაგართა თითოეულ მოძრაობას და აღტაცებას ვერ ფარავდნენ. ისინი მდიდარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ სახლში. შალვა ოცნებობდა ისეთი კუნთმაგარი ფალავანი გამოსულიყო, როგორიც მიშიკო მაჩაბელი იყო.

გარბოდნენ წლები. შალვა ბევრს ვარჯიშობდა. შესანიშნავი აღნაგობის ჭაბუკმა მალე მწვრთნელის გ. ქავთარაძის ყურადღება მიიპყრო და ახლა უკვე ცნობილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. დიდ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად ჭაბუკი ჩინებულად ერკვეოდა ფრანგული ჭიდაობის (დღევანდელი კლასიკური ჭიდაობა) თითოეულ წვრილმანში.

ოცი წლის შალვამ თბილისს მოაშურა. აქ იგი უკვე ჭიდაობის ცნობილ სპეციალისტებთან — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებთან ვ. კუხიანიძესთან, პ. იორდანაშვილთან, ლ. კაპიტანოვთან, ლ. ძეკონსკისთან იმაღლებდა ოსტატობას. მაგრამ ჭაბუკ ფალავანს გული მაინც დიდი სარბიელისაკენ მიუწევდა. სულ იმის ოცნებაში იყო, როდის დადგებოდა ნანატრი ჟამი. პირველი გამოცდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე ჩააბარა, სადაც ქვემძიმე წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ შ. ჩიხლაძე მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა. 1935 წელს მოსკოვში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე შ. ჩიხლაძემ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. მიღწეული როდი აკმაყოფილებდა შალვას. რიონისპირელი ფალავანი ჩემპიონის საპატიო წოდებისკენ მიილტვოდა. დღედაღამ ვარჯიშობდა, ოსტატობას იმაღლებდა. ერთი წლის შემდეგ რიონისპირელ მოჭიდავეს ოცნება აუსრულდა — იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. შ. ჩიხლაძე ჩვენი რესპუბლიკის პირველი მოჭიდავე იყო, რომელმაც ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწია საკავშირო სარბიელზე ქვემძიმე წონით კატეგორიაში.

როდესაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, შალვას გულმა არ მოუთმინა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. საბჭოთა კავშირის გმირი ვ. კარპოვი ჟურნალ „კომუნისტის" მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში წერს: „შ. ჩიხლაძეს ბევრი საგმირო საქმეები ჩაუდენია სამამულო ომში. დიდი ფიზიკური ძალა ხშირად ეხმარებოდა მას საბრძოლო დავალებების შესრულებაში. რკინისებურმა ნებისყოფამ და გამბედაობამ მისცეს შესაძლებლობა არაერთი საბჭოთა მეომრისათვის შეენარჩუნებინა სიცოხლე. ნატკენ მარცხენა ხელში დაჭრის მიუხედავად, იგი არა მარტო დაუბრუნდა ხალიჩას, არამედ შეძლო მოეპოვებინა ყველაზე მაღალი სპორტული ტიტულები".

1946 წელს როსტოვში გამართულ საკავშირო პირველობაზე შალვამ წმინდად დაამარცხა ლატვიელი კალნინში და ტურეცკი, შემდეგ ქულებით სძლია უკრაინელ სტრიჟაკსა და სომეხ შაჰინიანს. ასევე ქულებით მოუგო შერკინება როსტოველ დეირჩსა და თბილისელ მაჩკალიანს და გამარჯვებულთა კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე დაიკავა ადგილი. 3 წლის შემდეგ 37 წლის მოჭიდავე კვლავ სსრ კავშირის ჩემპიონია. 1950 წელს ჩიხლაძის გვარს ისევ ვკითხულობთ ქვეყნის საუკეთესო ფალავანთა შორის. მან კვლავ დაიბრუნა № 1 მოჭიდავის ტიტული.

ჰელსინკის XV ოლიმპიადა... გუგუნებს „მესუკალის" საჭიდაო დარბაზი. ხალიჩის ერთ კუთხეში შალვა ჩიხლაძე დგას. დასკვნით ასპარეზობაში იგი შვედ მოჭიდავეს გრენდალს ხვდება. უაღრესად დაძაბული შერკინება ქართველი ფალავნის უპირატესობით მთავრდება. დიდხანს კამათობს მსაჯთა კოლეგია. გავიდა 10, 20, 30 წუთი და მოულოდნელად გამარჯვებას გრენდალს ანიჭებენ. 40 წლის სპორტსმენი სამშობლოში ოლიმპიური ვერცხლის მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა; ამ მხრივ ძალიან საინტერესოა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ბალავაძის სიტყვები შ. ჩიხლაძის შესახებ, რომელიც მან თავის წიგნში „ფალავნები ხალიჩაზე" აღნიშნა: „შ. ჩიხლაძემ XV ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ სპეციალისტთა აზრით იგი ამ ასპარეზობის „უგვირგვინო ჩემპიონად" იქნა აღიარებული. შალვა მეტად კოლორიტული და თავისებური ფიგურაა საბჭოთა ფალავნებს შორის. მან პირველად 1936 წელს მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და 10 წლის შემდეგ დაიბრუნა ეს წოდება. ნიშანდობლივია, რომ მრავალი წლის მანძილზე მას ტოლი არ ჰყავდა, როგორც საკავშირო სარბიელზე, ისე საერთაშორისო შეხვედრებში."

მალე სპორტის დამსახურებული ოსტატი შალვა ჩიხლაძე. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მოწყობილ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს. მხოლოდ ოქროს მედალი, ასეთი იყო მისი პროგრამა-მინიმუმი. უნგრულმა გაზეთებმა მას „თბილისური ტანკი" უწოდეს. ჩვენი ქვეყნის მრავალგზის, მსოფლიოსა და XV ოლიმპიადის ჩემპიონმა მძიმე წონაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა არსენ მეკოკიშვილმა შ. ჩიხლაძე ასე დაახასიათა; „მე მას ვიცნობდი, როგორც არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის მოჭიდავეს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მსოფლიოს სარბიელს ბევრი არ ახსოვს ისეთი ჰერკულესური აგებულების ატლეტი, როგორც შ. ჩიხლაძე იყო. იმის მიუხედავად, რომ მას ბევრი სახელოვანი გამარჯვებები აქვს მოპოვებული კლასიკურ ჭიდაობაში, მარცხენა მკლავის ტკივილის გამო ბოლომდე არ ჰქონდა ამოწურული თავისი მდიდარი შესაძლებლობანი".

— ძალზე სწრაფად გარბიან წლები, — ამბობს ვეტერანი. დიდი გამოცდილება დამიგროვდა, არც ფიზიკური ძალა და შინაგანი ენერგია მღალატობს. ჩემი მიზანია, აღვზარდო მომავალი ფალავნები. ეჭვი არაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ვეტერანის სიტყვა სულ მოკლე დროში რეალობად იქცევა. გვჯერა, რომ კიდევაც დაიზრდებიან ჩიხლაძეები, მეკოკიშვილები, ბალავაძეები, კარტოზიები, რურუები და სხვა სასიქადულო მამულიშვილები.

შალვა ძირია

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საქ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის მოყვარულთათვის

... საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი საერთაშორისო მატჩი 1922 წლის 20 სექტემბერს გამართეს.
ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ჰელსინკის ფეხბურთელები. ამ მატჩში დამარცხდნენ ფინელები ანგარიშით 1:7.

... 1936 წელს ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ თამაშობდა უმაღლეს ლიგაში.
მატჩი დამთავრდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ გამარჯვებით 2:0.

... მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი „შეფილდი“ დაარსდა ინგლისში 1857 წელს.
1885 წელს მთელს მსოფლიოში პირველად ინგლისში დაკანონდა. ფეხბურთელთა პროფესიონალიზმი.

... საფეხბურთო მინდორზე პირველი მსაჯი გამოვიდა 1878 წელს.

... ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი იყო 1954 წელს შვეიცარიაში ჩატარებული ტურნირი.
ამ ტურნირის დროს გამართულ 26 მატჩში გაიტანეს 140 გოლი, ანუ ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 5 ბურთზე მეტი.

... რუსეთში ფეხბურთელთა პირველი გუნდი ჩამოყალიბდა 1897 წელს პეტერბურგში.
პირველი ოფიციალური საფეხბურთო მატჩი გაიმართა 1898 წლის 13 სექტემბერს. ერთმანეთს შეხვდნენ პეტერბურგის გუნდი „სპორტი“ და „პეტერბურგის სპორტსმენთა წრე“.
ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა „სპორტმა“.

... 1912 წელს რუსეთის ფეხბურთელთა გუნდი პირველად გაემგზავრა ოლიმპიურ თამაშებზე სტოკჰოლმში.
რუსეთის გუნდმა პირველი შეხვედრა ფინეთის გუნდთან წააგო ანგარიშით 1:2; გერმანიის გუნდთან კი იგი დამარცხდა ანგარიშით 0:16.

... 1956 წელს ჩვენმა ფეხბურთელებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში.
1960 წელს დაისაკუთრეს ევროპის თასი.
1966 წელს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი მსოფლიოს უძლიერეს გუნდთა ოთხეულში გავიდა.

...პირველი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე გაიმართა 1936 წლის 22 მაისს ლენინგრადში.
ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „დინამო“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:1.
პირველი ბურთი გაიტანა „ლოკომოტივის“ თავდამსხმელმა ვიქტორ ლავროვმა.
პირველ მატჩს მსაჯობდა მოსკოველი არბიტრი ვ. ბოგდანოვი.

... საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების ისტორიაში, პირველი პენალტი აიღო მეკარე ვ. გრანატკინმა.
... ფეხბურთში ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა მოსკოვის „დინამო“. გუნდის პირველი კაპიტანი იყო ცნობილი ფეხბურთელი სერგეი ილინი.

...სტადიონიდან.
ფეხბურთის მატჩის პირველი რადიოკომენტატორი იყო ვადიმ სინიავსკი.

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

## ფრანგული კინოს ახალი ვარსკვლავი

რამდენიმე წელია ფრანგული კინოს ეკრანებზე ბრწყინავს ბრიჯიტ ბარდო, მაგრამ ახლახან საფრანგეთის ეკრანებზე გამოჩნდა ახალი „ამომავალი ვარსკვლავი“ — ჩვიდმეტი წლის იზაბელა ადიანი.
მკითხველს, ალბათ, ახსოვს ჩვენი ცნობა ფილმზე, რომელსაც საფუძვლად დაედო ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილის სიყვარულის ისტორია, — „ადელე ჰ-ს სიყვარულის ისტორია“; ამ ფილმში ადელის როლს იზაბელა ადიანი ასრულებს. ეს მისი დებიუტია კინოში. დღეს იგი ბევრ ფილმშია მიწვეული; მათ შორის ანდრე ტეკინეს ფილმში „ბაროკო“, რომელიც სენტიმენტალური დეტექტივია.



იზაბელა ადიანი.

## პრემია „დერსუ უზალას“

ცნობილმა იაპონელმა კინორეჟისორმა აკირა კუროსავამ განაცხადა: — „როცა გავიგე, ჩემი რეჟისორობით გადაღებულ საბჭოთა ფილმს „დერსუ უზალას“ პრემია მიენიჭა ძალზე გამიხარდა. ფილმის გადაღებისას საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა დიდი დახმარება გამიწიეს. ყოველთვის ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას. ფილმის იდეაა ბუნების დაცვა. ეკოლოგიური ბრძოლა აღელვებს მთელ მსოფლიოს და ვფიქრობ, ეს არის პრემიის მიღების ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი. ბოლოს კუროსავამ დასძინა: რა თქმა უნდა, ჩემთვის უფრო სასურველი იქნებოდა წმინდა იაპონურ ფილმს მიეღო პრემია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს შეუძლებელი იყო. ჩემი ქვეყნის პროდუსერები ამდენ ფულს არავითარ შემთხვევაში არ დააბანდებდნენ მსგავსი სიუჟეტის ფილმისათვის“.

# გერმანული იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი შვარცენბერგი ოჯახით დას ბერლინში ესტუმრა. მან დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და ბოლოს თავის ვაჟთან ერთად ზოოპარკში შევიდა.
— რა ღირს თქვენი ზოოპარკი? — ჰკითხა მან ზოოპარკის თანამშრომელს, — სიამოვნებით შევიძენდი მას ჩემი შვილისათვის.
— რა ღირს თქვენი ვაჟი? — შეეკითხა თანამშრომელი, — ჩვენც სიამოვნებით შევიძენდით მას ჩვენი ზოოპარკისათვის.

* * *

ახალგაზრდა ქალი მკითხავთან მივიდა;
— თქვენ ექვსი თვის წინათ იყავით ჩემთან, არა? ჰკითხა მკითხავმა.
— დიახ.
— რა გიწინასწარმეტყველეთ მაშინ?
— ქორწინება და ბავშვი.
— ყველაფერი აგიხდათ?
— ნაწილობრივ.
— როგორ თუ ნაწილობრივ?
— ბავშვი მალე მეყოლება, ახლა მინდა ვიცოდე, როდის შედგება ქორწინება.

* * *

მაპატიეთ, ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია?
გამვლელი შეჩერდა, მარცხენა ჯიბიდან საათი ამოიღო და დახედა, შემდეგ მარჯვენა ჯიბიდან ამოიღო საათი, მასაც დახედა და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:
თერთმეტის ოცდახუთი წუთია.
— გმადლობთ, ვხედავ თქვენ ძალიან პედანტი ბრძანდებით.
ო, არა, ერთ საათს მაჩვენებელი ისარი აკლია, ხოლო მეორეს — წუთები.

* * *

ერთი ჯარისკაცი ტრამვაით მგზავრობდა. ერთ-ერთ გაჩერებაზე ოფიცერი ამოვიდა. ჯარისკაცმა მისთვის ადგილის დათმობა გადაწყვიტა. მაგრამ ოფიცერმა მხარზე ხელი დაადო და უარი უთხრა. შემდეგ გაჩერებაზე ჯარისკაცმა ისევ შესთავაზა ადგილი. ოფიცერმა კვლავ იუარა. ასე განმეორდა რამდენჯერმე; მეექვსე გაჩერებაზე ჯარისკაცმა ქუდზე ხელი მიიდო და სთქვა:
— ნება მომეცით, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ახლა მაინც ავდგე. უკვე ოთხი გაჩერებით გავცდი ჩემს გაჩერებას!

* * *

— ტიპიურია, — თქვა ექიმმა, — ჩვენს დროში თქვენი დაავადება ძალზე ტიპიურია, ჩემო კარგო, ძალიან ბევრ დროს ატარებთ ოთახში, ჰაერზე არ დადიხართ. ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ; არავითარ მედიკამენტს არ გამოგიწერთ, თქვენ გაკლიათ მხოლოდ სუფთა ჰაერი და მოძრაობა. ისეირნეთ ყოველდღიურად ორი საათი სუფთა ჰაერზე. ოთხი კვირის შემდეგ კი ისევ მობრძანდით ჩემთან. აი, ნახავთ, თქვენ სულ სხვა კაცი იქნებით!
— გასაგებია, — უპასუხა პაციენტმა, როდის უნდა ვიარო ხოლმე სასეირნოდ? სამუშაოს დაწყებამდე, თუ დამთავრების შემდეგ?
— რა პროფესიის ბრძანდებით?
— წერილების დამტარებელი.

* * *

ექიმი: თუ თქვენ გახდომა გინდათ, ჭამეთ შავი პური, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და ცოტაოდენი მჭლე ხორცი. მეტს ჯერჯერობით ნურაფერს მიიღებთ.
პაციენტი: ეს როდის, ექიმო, ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?

გერმანულიდან თარგმნა,
**ლაშა დადიანმა.**

# ბებიას დაბადების დღე

ვის მოაგონდა პირველად ბებიას დაბადების დღე, ახლა აღარავის ახსოვდა. ყველა ხმამაღლა გამოთქვამდა თავის აზრს და იჩემებდა: მე გამახსენდაო.

— როგორ არ ვიცი, ათასჯერ აქვს ნათქვამი ღვინობისთვეში ვარ დაბადებულიო...

— ეგ რად გინდათ, რამდენი წლის იყო ბებია, როდესაც პაპა გარდაიცვალა?..

ბოლოს, როგორც იქნა, შეწყდა ყაყანი და ოჯახურ თათბირზე დადგინდა ბებიასათვის საკადრისი წვეულება გადაგვეხადა.

— ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ... — აღარ დაამთავრა მამამ, ეს ბრძნული, ერთობ მრავალმნიშვნელოვანი აზრი და ბებიას გადახედა.

მამაჩემი სიდედრებს შეგუებულ სიძეთა კატეგორიას ეკუთვნის და ინდეფერენტულად ეკიდება იმ გარემოებას, თუ მის სიდედრს კიდევ რამდენ ხანს გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს ალოესა და ჭინჭრის ნაყენი.

— ბოლოსდაბოლოს ყველა კი ვერ აღწევს ოთხმოც წელს! — უხეირო ღიმილით მაინც თქვა მან, — სამოც წელს ზევით ყოველი დღე ნაჩუქარია...

— აბა, შენ გაგიმართლა! — კბილი გაკრა დეიდამ და სიტყვა შუაზე გააწყვეტინა.

— ბებიას ზომიერი, ყოველგვარი მეშჩანური გაპრანჭვის გარეშე ლამაზი საღამო უნდა, — თქვა ჩემმა დამ.

იგი ამ საკითხში ავტორიტეტად ითვლება! რაც იგი დაბადების დღეებზე დაწანწალებს, იქნება აბა, არა!

— ჩაით, ტკბილეულით, დიდი ტორტით... აუცილებლად ზედ ოთხმოცი სანთლით!

— ოთხმოცი, თორემ, მაგანაც ერთი შებერვით არ ჩააქროს! — მაინც ძველი „ანგარიშები" არ ასვენებს მამას.

— დავუპატიჟოთ თავისი მეგობრები!.. — ვამბობ მე.

— მაშინ დადეთ მაგიდაზე ოთხი ჭიქა და ოთხი ბუტერბროტი!

ბებიას მართლა სამი მეგობარიღა შემორჩა.

— თხილი არ დაგავიწყდეთ, თხილი, კბილით გააკნატუნებენ! — ენას იქავებს მამა.

— შენ მაგას ვერც მოესწრები, შე საწყალო!— მოთმინების ფიალა აევსო დედას.

— თქვენს ხელში ნამდვილად ვერ მოვესწრები!

დაბადების დღის მზადების თათბირი სხვა ელფერს იძენდა, დეიდა რომ არ ჩარეულიყო ზუსტად იმ დროს, წლების მანძილზე ჩხუბის დაწყების წინ ინტუიციით რომ გრძნობს ხოლმე. „ინტუიცია ეს არის ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა უმაღლესი გამოვლინება!" — უყვარს ხოლმე დეიდას სპინოზას ციტირება, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ თქვა:

— ერთ-ორ ნათესავს რომ შევატყობინოთ? — კითომ სხვათა შორის იკითხა მან, — აბა, ალაპარაკე მერე ეს ხალხი!

ამ მტკივნეულმა საკითხმა ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა.

— სწორია, — თქვა მამამ, — ტკბილეულის სუფრა კარგია, მაგრამ გულის გადალევა იცის, ცოტა სხვა რამეც დავუმატოთ!

— შენებურად გოჭებითა და წიწილებით თუ არ ჩაზნიქე მაგიდა, ისე ხომ არ შეგიძლია! — თქვა დეიდამ.

— ხალხში თავს ნუ მომჭრი! — იქუხა მამამ და საკითხი თითქმის გადაჭრა, — იქნებ მეც მინდა ერთი-ორი კაცის მოყვანა!

— მეც! — ვთქვი მე.

— აბა, მეც მოვიყვან ჩემს გოგოებს! — თქვა ჩემმა დამ.

ყველაფერი გადაწყდა. შედგა დასაპატიჟებელ სტუმართა უზარმაზარი სია, დადგინდა თარიღი და პურ-მარილის მოსამზადებლად მამის ნაცადი მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა.

იმდენი სუკი, ქათამი, გოჭი, ხიზილალა, ზურგიელი, ცოცხალი, ხილი და ნამცხვარი მოზიდეს, რომ ბებიას ერთ ოთხმოც წელს კიდევ ეყოფოდა. მამამ თადარიგი „ტრადიციულად" დაიჭირა — ერთ სულზე სამი კაცის ულუფა — „სჯობს, გადაიყაროს, ვიდრე შემოგვაკლდეს და ამდენ ხალხში თავსლაფი დაგვესხას", — იყო მისი დევიზი.

ბოლო წუთს მამა აქოშინებული მოვარდა სამსახურიდან.

— რა იყო, კაცო, გული ხომ არ გაქვს ცუდად?! — ცოტა არ იყოს შეშინდა დედა.

— რა და... ჩემმა მმართველმა... ამ სიცხეში ქალაქში პურ-მარილი სად გაგონილა... ქალაქგარეთ აჯობებდაო!

დედა სავარძელში ჩაეშვა. დეიდამ ფრჩხილების კვნეტა დაიწყო.

— იდიოტი! — თქვა ჩემმა დამ, მაგრამ მამამ ისე გადუბრიალა თვალები, სჯობდა გაჩუმებულიყო.

სასწრაფოდ ვეცით ტელეფონს და ტოტალური მობილიზაცია გავუკეთეთ ნათესაობისა და ნაცნობ-მეგობრების „ვოლგებს", „ჟიგულებს", „მოსკვიჩებს", „ზაპოროჟეცებსაც" კი...

საქეიფო ადგილად წყნეთში ჩვენი აგარაკი შევარჩიეთ — ეს დედამ და დეიდამ თავისი გაიტანეს — ამოდენა პურ-მარილის მინდორში დაყრას ის ლაზათი და პეწი არ ექნება, როგორც ფართო აივანზე გაშლილ სუფრასო.

დათქმულ დროს დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი სტუმარი ყველა ერთი კაცივით გამოცხადდა. ჟრიამულით გავემართეთ წყნეთისაკენ.

ბებია ვერ წამოვიდა მხოლოდ — აგერ უკვე სამი წელია მაღალი წნევა და გული აწუხებს. ექიმებმა აუკრძალეს წყნეთში ასვლა.

პირველი სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით შეისვა.

ზურლან გემაზაშვილი

# ჯადო

— ჯადოს გავუკეთებ, ჯადოს და ჩემს ქმარს მონა-მორჩილად გავიხდი! — დაიქადნა ცაცამ და თათრის მოედანზე მკითხავ ნატალიას კარს მიადგა.

ჰოდა, ცაცამ ფრთხილად შეაღო ნატალიას მდიდრულად მოწყობილი ბინის კარი; ფეხაკრეფით შევიდა შიგ და ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე წამოგორებული ნატალია შენიშნა.

— მიშველე, ნატალია! ჩემი პოლიკარპე უკანასკნელ ხანებში მეტად საეჭვოდ იქცევა, ყოველ ღამე ნაქეიფარი მოდის სახლში... ზოგჯერ სულ არ მოდის, აღარ მეალერსება.. მგონი საყვარელი გაიჩინა... რასაც შოულობს, სულ იმას აყრის. შენს გახარებას, ერთი შენებური მაგარი ჯადო გაუკეთე! — შეეხვეწა ცაცა.

— მოგიკვდეს ნატალია, თუ მალე პოლიკარპე შენს წინაშე არ დავაჩოქო!.. ამას ერთი ათი თუმანი დასჭირდება, მეტი არა.

— ნატალიაჯან! ათი თუმანი ბევრი არ არის?

— აჰ, არ გაბედო! ჭოყმანი მხოლოდ ღანავსავს საქმეს. ეს თვით იესო ქრისტეს მიერ შედგენილი პრეისკურანტია. ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს, ამის დარღვევის უფლება არა გვაქვს, თქვენი უბნის მაღაზია ხომ არ გგონია?

ცაცას მიცემული ფული ნატალიამ წითელი ხავერდის მუთაქის ქვეშ ამოდო. ნახშირი წყლით სავსე ჯამში დააქუცმაცა და თან რაღაცის ბოდვა დაიწყო. შემდეგ საიდანღაც ამოაძრო გაცვეთილი თეთრი ჩვარი, ჩაასველა „შელოცვილ" წყალში და ფრთხილად გადასცა ცაცას.

— ეს ნაჭერი შენს მეუღლეს ძილის წინ თავქვეშ დაუდე და ორ-სამ დღეში ყველაფერი მოწესრიგდება! — დააიმედა ნატალიამ.

დიდხანს იდო ქმრის ლეიბქვეშ ნატალიას მიცემული ჩვარი, მაგრამ პოლიკარპეს გამოსწორებას პირი არ უჩანდა. ცაცა ისევ ნატალიას კარს მიადგა.

— ეს არის შენი ორი-სამი დღე? თვეზე მეტი გავიდა, არავითარ ცვლილებას არ ვამჩნევ...

— ნუ ღელავ, ქალბატონო! ხედავ ამ კარტებს? დადე თუმანი და მიზეზს დავადგენ.

ნატალიამ წითელი თუმნიანი ჭრელი მუთაქის ქვეშ შეაცურა და კარტის გადაწყობა-გადმოწყობა დაიწყო, თან მძიმედ ამოიოხრა:

— ოჰ, შენ რა გითხრა, ჩვარი სწორედ არ დაგიდია, ოდნავ მარჯვნივ არის გადასაწევი...

გავიდა დრო, პოლიკარპე ისევ ძველებურად ატარებდა დროს.

ცაცა კვლავ ნატალიას ეახლა.

— დაწყნარდი, ჩემო ცაცა! — ძველი ნაცნობივით მიმართა ნატალიამ, — დადე თუმანი და ყავაზე გიმკითხავებ. აუცილებლად გავიგებ მაგ საქმის მუღამს.

ნატალიამ ხელში დიდხანს ატრიალა ყავის ფინჯანი და უცბად წამოიძახა:

— ჩვრის ძალა დაქვეითდა, საჩქაროდ ქვეშ ცელოფანი დაუფინე, რომ სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი ამაღლდეს.

ცაცამ სამმაგი ცელოფანი დაუფინა ჩვარს, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

გაცბუნებული ცაცა ნატალიასთან მივიდა და კატეგორიული ულტიმატუმი წაუყენა:

— ან ფული დამიბრუნე, ან ჯადო მოახდინე!

— ჩუ, ქალო! უკვე დადგა სასწაულის ჟამი, აი ნახე... — ნატალიამ თაროდან გადმოიღო შანდალი, სანთელი აანთო, რაღაცის ბურტყუნი დაიწყო, თან ხელი ცაცასკენ გაიშვირა, — თუმანი, მალე თუმანი, თორემ ჩერდება სასწაული! შენი დამაქცეველი იწვის სანთელზე, ჩქარა თუმანი, რომ ბოლომდე დაიწვას-...

ცაცას მიცემული ფული ნატალიამ ისევ ჭრელი მუთაქის ქვეშ შეასრიალა.

— აჰა, დაიწვა, დაიღუპა! ახლა წადი, ჩვარს შავი ლენტი მიუკერე ირგვლივ და ისევ თავქვეშ დაუდევ შენს ქმარს. მორჩა, ამიერიდან შენს წამებას ბოლო მოეღება...

და მართლაც მოხდა სასწაული. სულ მალე ცაცას ქმარი სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის „გალიაში" ჩასვეს და ყოველ პაემანზე ცოლთან შეხვედრისას ბულბულივით გალობდა, აღმერთებდა მეუღლეს, ერთგულებას ეფიცებოდა, კარგი ამანათების მოტანას სთხოვდა.

კამო შარმაზიანი

# კაკალ გულში



— ეს მანეკენები კი გადავაკეთეთ ჩვენს გემოზე, მაგრამ მომხმარებელს როგორღა მოვარგოთ ასეთი კოსტუმები?

მხატვარი ჯამალ ლოლუა



— სულ იმას წერენ — ვაჭრობის ქსელი მომხმარებლისათვის არისო და ჩვენი სექციონერი კი გაება შიგ!!!

## „დროშის“ № 5 მოთავსებული კროსვორდის პასუხები:

**ჰორიზონტალურად:** 5. ბლეიმანი. 6. კომიტასი. 9. ფლიგელი 10. ტიმორი. 11. სტენდი. 15. პაგინაცია. 17. „ორერა“. 18. ლოჯია. 19. ანტრაშა. 20. პატენტი. 24. ბორდო. 25. ანწლი. 26. ესკადრონი. 29. პრემია. 32. კერესი. 33. ბარნოვი, 34. ოლივეირა. 35. რიქსდაგი.

**ვერტიკალურად:** 1. ჩიკორი. 2. გნოლი. 3. ხომლი. 4. ეტრატი. 5. ბარიმორი. 6. იორდანია. 7. ეგმონტი. 12. ბარბაროსი. 13. აინშტაინი. 14. გრენადა. 16. პონტონი. 21. სომბრერო. 22. ბედუინი. 23. ელექსირი. 27. ბირთვი. 28. ბელადი. 30. კაირო. 31. შვრია.

პროფესორი შოთა ბებიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრის გამგეა. იგი ავტორია რადიოტექნიკის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული 150 მეცნიერული ნაშრომისა, მაგრამ მისმა შემოქმედებითმა პოტენციალმა სხვა დარგშიც იჩინა თავი. შოთა ბებიაშვილმა ხელოვნების საყაროშიც შეაბიჯა და აქაც თქვა თავისი სიტყვა.

...ხატვა ბავშვობიდანვე იტაცებდა; და როდესაც თვითნასწავლი მხატვარი ფერთა საიდუმლოს ჩასწვდა, ეს სიყვარული უფრო გაუცხოველდა და ხატვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

შოთა ბებიაშვილი ხატავს როდესაც კი ამის სულ მცირე საშუალება მიეცემა. იგი ხატავს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ხატავს მივლინებაში ყოფნისას. მისი შრომისნაყოფიერება პროფესიონალ მხატვარსაც კი შეშურდება. უკვე შექმნილი აქვს 500-ზე მეტი ფერწერული ტილო — ქალაქი და სოფელი, სამშობლოს მთა-ბარი, ახალი და ძველი თბილისი, ლირიკული მოტივები, ცნობილ პიროვნებათა პორტრეტები — აი, მისი შთაგონების წყარო.

შოთა ბებიაშვილის სახელს უკვე ფართოდ იცნობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მისი თექვსმეტი სურათი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაშია, თხუთმეტი სურათი — თბილისის ხალხური შემოქმედების მუზეუმში. მის შემოქმედებას გაეცნენ ამიერ-

# მეცნიერი და მხატვარი

კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების დედაქალაქთა მცხოვრებლები და სათანადოდ დააფასეს კიდეც. მაგრამ მხატვარს ყველაზე დიდი აღიარება წილად ხვდა 1967 წელს მოსკოვში გამართული თვითმოქმედი მხატვრების გამოფენაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. მისმა სურათებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ხოლო ავტორს გამოფენის ლაურეატის წოდება მიენიჭა. მისი ორი სურათი გამოფენილია ბერლინში მოწყობილ მოყვარულ მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე.

გთავაზობთ შოთა ბებიაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციებს.

## საგულისხმო სტრიქონები

კარგ ცხენს პირველად უნაგირი ეხამუშება, მერე კი უიმისობა.

პატარა სარკეში ცქერით ნუ გალევ წუთისოფელს, უფრო დიდი სარკეა ქვეყანა.

ღამე მოფიქრებისაა, დღე კი გაკეთებისა.

ზოგი ცოცხალი მკვდრების სიაში იწერება, ზოგი მიცვალებული კი ცოცხლების სიაში.

კამეჩისათვის ედემის ბაღი — ჭაობია.

სიყვარულმა და ერთგულებამ აღმართ-დაღმართი არ იცის.

ჯერ ღუმელს გადახედე და შემდეგ ისე დაჭერი.

ხარის ღონე მისი რქების სიდიდით არ განისაზღვრება.

ცოდნის შეძენა აღმართია, მისი გამოყენება თავდაღმართი.

ჭკუით სიღარიბეს, ქონებით სიღარიბე სჯობია.

**შოთა ნათიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე: საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი. თარხან არჩვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 11/V წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 51.900, შეკვ. № 1735 უე 00800. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შოთა ბებიაშვილი ესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დიპლომანტს თამაზ გელიტაშვილს.



თბილისი. დარეჯანის სასახლე



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ქალაქი იენა, შილერის სახლმუზეუმი.



პრაღის კრემლი.

## შოთა ბებიაშვილის ნამუშევრები

სურამი, სოფელი გვერდის უბანი



ჩეხოსლოვაკია, ქალაქი კარლშტეინი





ბიჭვინთა. თარხან არჩვაძის ფოტო

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა